ახალი გაზეთლება

2014 წელი, 20-26 მარტი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№11 (645) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



ოცდამეერთე საუკუნის კალიგრაფიის ქომაგები

2013 წლის 6 ნოემბერს, ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა მეოთხედ გამოაცხადა კალიგრაფიის კონკურსი სახელწოდებით – „ქართული კალიგრაფია“. შესარჩევ ტურში 1200-მდე კალიგრაფმა მიიღო მონაწილეობა კატეგორიაში – VII-IX, X-XII კლასები, სტუდენტები, ზრდასრულები და ემიგრანტები. 198 წარმატებული ფინალისტიდან ჟიურიმ 96 მონაწილე გამოარჩია, რომელთა საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალს, 18 მარტს, პროკრედიტ ბანკის სათავო ოფისმა უმასპინძლა. პრიზიორთა ხელნაწერების გარდა, პროკრედიტ ბანკის სათავო ოფისში სხვა გამორჩეული კონკურსანტების ნამუშევრებიც გამოიფინა. ცხადია, ყველა მათგანი ვერ გახდებოდა ძირითადი პრიზიორი ან ნომინანტი. ამიტომ ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა და პროკრედიტ ბანკმა ამ 96 კონკურსანტისთვის დააწესა მცირე საჩუქრები და სიგელები, რომელსაც ღონისძიების მიმდინარეობისას კონკურსანტები საგანგებოდ მოწყობილ „სიგელის კუთხეში“ იღებდნენ.

საპრიზო ადგილზე გასული კონკურსანტები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დააჯილდოვა, გარდა ამისა, კონკურსს ძალიან ბევრი ერთგული პარტნიორი ჰყავდა სამთავრობო, არასამთავრობო თუ კერძო სექტორიდან.

გვერდი 2

„არ ჰკითხოთ რჩევა ყველა მწერალს“ და „მთავარია, არ ჰგავდეთ ძველებს“

გვერდი 4

ოცდამეერთე საუკუნის კალიგრაფიის ქომაგები

პირველი გვერდიდან

„საქართველოში მოღვაწეობის 15 წლის განმავლობაში პროკრედიტ ბანკი მუდამ აქტიურად უჭერდა მხარს კულტურული პროექტების განხორციელებას. მოხარული ვარ, რომ პროკრედიტ ბანკის სათავო ოფისი ასეთ საინტერესო და, რაც მთავარია, მნიშვნელოვან ღონისძიებას მასპინძლობს. საქართველოში ხელნაწერთა შექმნას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ამიტომაც თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა, ამ ტრადიციის გაგრძელებას მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი და მომავალი თაობებისთვის შემოვინახოთ“ – განაცხადა პროკრედიტ ბანკის დირექტორმა, **ქეთევან ბურდულმა.**

ქართულ კალიგრაფიულ სკოლას საუკუნეების ტრადიცია აქვს. ხელით გადაწერილი წიგნი ადრეულ საუკუნეებშივე იქცა კულტურულ და ეროვნულ ფენომენად. საქართველოში თუმის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ სამწიგნობრო კერებში, საუკუნეთა განმავლობაში, ინტენსიურად იქმნებოდა ქართული წიგნი. მონასტრებში მოღვაწე მწიგნობრების შემოქმედებითი ჯგუფები, ქმნიდნენ რა ხელნაწერ წიგნებს, განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ ქართული ანბანის გრაფიკულ მოხაზულობას, წიგნის შესამკობად გამოყენებულ მოხატულ ასოებსა და სხვა დეკორატიულ ელემენტებს, რომელთა მრავალფეროვნებაში მჟღავნდებოდა ცალკეული წიგნის შემქმნელის ინდივიდუალობა.

ჩვენს რეალობაში ხელით წერის უძველესი მაღალმხატვრული ტრადიცია ნაკლებად ცნობილი და წახალისებულია. დღეს ბევრი ვერ ხვდება, რაში შეიძლება გამოიყენოს დახვეწილი კალიგრაფია, მაშინ როცა, ხელით შესრულებული ნამუშევრები, როგორც ხელოვნების ნიმუშები, საკმაოდ ფასობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

პროექტის საბოლოო მიზანიც სწორედ ხელნაწერი წიგნის შექმნის კულტურის აღორძინებაა.

„ეს ერთ-ერთი წარმატებული პროექტია, რადგანაც ამ მიმართულების პროექტები ძალიან ცოტაა. ეს არის პროექტი, რომელიც ქართული დამწერლობის, როგორც კულტურული ფენომენის, გაძლიერებას უწყობს ხელს. მნიშვნელოვანია მით უფრო, როცა აქცენტს ქართული კალიგრაფიული კონტურის გაძლიერებაზე ვაკეთებთ, რომელიც თითქოს მივივიწყეთ. სასიხარულოა, რომ კონკურსში მონაწილეთა ფართო სპექტრია წარმოდგენილი – განსხვავებული ასაკის ადამიანები მონაწილეობენ. თითოეული მათგანის მოტივაციაა, უკეთესად გამოიყვანოს ქართული ასოები და წარმოაჩინოს საკუთარი უნარები. მინდა კიდევ ერთხელ ვუსურვო წარმატება მონაწილეებს და დიდი მადლობა გადავუხადო კონკურსის ორგანიზატორებს ასეთი მნიშვნელოვანი და ეროვნული საქმის წამოწყებისთვის. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კი მათი მუდმივი მხარდამჭერი იქნება ანალოგიურ პროექტებში“ – განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, **ლია გიგაურმა**.

ბუბა კუდავა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი: *„მოგეხსენებათ, ქართულ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის ძირითადი საცავია. ჩვენ ძალიან ბევრ საინტერესო პროექტს ვახორციელებთ და ვცდილობთ, ყოველთვის აქტიურები ვიყოთ. თუმცა, თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტია, რომელსაც მეოთხე წელია ვახორციელებთ. არ ვიცი რატომ ხდება, მაგრამ ამ პროექტს, ყოველწლიურად ყველაზე მეტი თანამდგომი და მხარდამჭერი ჰყავს. ხშირად ძალიან მნიშვნელოვანი პროექტებისთვის მხარდამჭერის პოვნა რთულია, მაგრამ ამ შემთხვევაში სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორი ძალიან იოლად მოდის თანამშრომლობაზე, ალბათ იმიტომ, რომ ეს პროექტი ძალიან ბევრ რამეს აერთიანებს – ეს ყველაზე სოციალური და ეროვნული პროექტია. კალიგრაფია, ხელოვნების ეს არაჩვეულებრივი დარგი, ბოლო წლებში (უფრო სწორად, საუკუნეების განმავლობაში) მივივიწყეთ. საბედნიეროდ, დღეს არის მოთხოვნა ჩვენს საზოგადოებაში, რომ ეს კულტურა აღდგეს და საერთოდ, აღდგეს დამოკიდებულება ჩვენი დამწერლობისადმი. სხვათა შორის, როცა პირველად ჩავატარეთ კონკურსი, შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ვფიქრობდით, რომ ძალიან ცოტანი იყვნენ ადამიანები, რომლებიც ლამაზად წერდნენ და გამორჩეული დამოკიდებულება ჰქონდათ კალიგრაფიის მიმართ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთი ადამიანი საკმაოდ ბევრია. იმედი მაქვს, ეს კონკურსი რადიკალურად შეცვლის საზოგადოების დამოკიდებულებას ქართული კალიგრაფიისადმი. გული მწყდება, რომ ჩვენი კულტურის მთავარი მონაპოვარი – ქართული დამწერლობა დავიწყებული გვაქვს და მას მხოლოდ წერისთვის და კითხვისთვის ვიყენებთ. სამწუხაროა, რომ ქართული დამწერლობა არ გვაქვს ქცეული ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათად. არადა მოგეხსენებათ, რომ სამყაროში ძალიან ცოტაა ქვეყანა, რომელსაც აქვს დამწერლობა, რომელსაც მხოლოდ თვითონ იყენებს. ჩვენ გვაქვს სამსახოვანი დამწერლობა და ერთი ქვეყანა ძალიან მდიდარი კულტურით. ვფიქრობ, ამას სათანადო დაფასება სჭირდება და, რაც მთავარია, პრაქტიკული გამოყენება. ნებისმიერი გამვლელი რომ გააჩერო ქუჩაში და ჰკითხო, ჩამომითვალე ათი რამ, რაც შენს ქვეყანას და კულტურას წარმოაჩენს, დარწმუნებული ვარ, ათიდან ცხრა დამწერლობას ვერ გაიხსენებს. შეიძლება გაიხსენონ ქართული ღვინო, ფოლკლორი, პოლიფონია და ა.შ., მაგრამ არა დამწერლობა. კიდევ ერთხელ მინდა გავუსვა ხაზი იმას, რომ ეს კონკურსი რადიკალურად შეცვლის ამ დამოკიდებულებას, უფრო სწორად, დაგვიბრუნებს საუკუნეების წინანდელს. ამიტომ, არ შემიძლია დიდი მადლობა არ ვუთხრა ქართველ კალიგრაფებს. მეტიც, თამამად შემიძლია ვუთხრა მათ, განსაკუთრებით ათ კალიგრაფს, რომ ისინი ნამდვილი პროფესიონალები არიან ან პროფესიულ გზაზე დგანან. რაც მთავარია, ისინი კონკურსიდან კონკურსამდე არ ჩერდებიან, თავად ატარებენ აქტივობებს, აყალიბებენ წრეებს თუ კლუბებს. ჩვენი რამდენიმე მოსწავლე, ფაქტობრივად, უკვე კალიგრაფიის პედაგოგია. არ შემიძლია არ გამოვყო სოფელ ჭუბერიდან ლილე ჩხეტიანი, ჩვენი ყოფილი კონკურსანტი, რომელმაც შემდეგ თავად აღზარდა კალიგრაფები და დღეს მისი აღზრდილები სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები არიან. ასევე დათო მაისურაძე, ჩვენი პირველი კონკურსის გამარჯვებული. დათომაც ჩამოაყალიბა კალიგრაფისტთა წრე მშობლიურ რუსთავში და ახლა ის მომავალ კალიგრაფებს გვიზრდის. ასევე მინდა გიორგი სისაურზე გითხრათ და საერთოდ, მინდა ვთხოვო ამ ახალგაზრდებს, რომ ეს პროფესია არ დაივიწყონ, აუცილებლად გადასცენ მომავალ თაობას.*

კალიგრაფისტთა კონკურსმა კიდევ ერთი რამ დამანახა – ქართულ დამწერლობას განვითარების უზარმაზარი პოტენციალი აქვს. ეს არ არის მხოლოდ ძველთან მიბრუნება, იქმნება ამ ეპოქისათვის თვისობრივად დამახასიათებელი ნიმუშები, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ეს არის ხელოვნების დარგი თავისი პრაქტიკული და ესთეტიკური მხარეებით. მომავალ ეტაპზე, ვგეგმავთ და ალბათ უკვე უნდა დავიწყოთ მზადება მონაწილეობისთვის, კალიგრაფების დახმარებით, საერთაშორისო ფესტივალებსა და გამოფენებზე. ჩვენი დამწერლობა მსოფლიო მასშტაბის ღონისძიებებზე უნდა გავიტანოთ.

კიდევ ერთხელ მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველას თანადგომისთვის. თუმცა, ნამდვილად არ ვაპირებ ამ სარისკო გზას დავადგე და მათი ჩამოთვლა დავიწყო, რადგანაც ვშიშობ, იმდენად ბევრი თანამდგომი გვყავს, რომ ვინმე გამომრჩება. აქვე აუცილებლად მინდა მადლობა გადავუხადო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ხელშეწყობისა და მხარდაჭერისათვის. ის, ტრადიციულად, ყოველთვის მხარში უდგას პროექტს. ბუნებრივია, მათ გარეშე ამის კეთება გაგვიჭირდებოდა როგორც ფინანსურად, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით. ამ პროცესებში აქტიურად არიან ჩართული რესურსცენტრები, რომლებიც კალიგრაფისტთა ნაშრომებს აგროვებენ და შემდეგ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გვიგზავნიან. ძალიან დიდი მადლობა კომპეტენტურ ჟიურის, რომელიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური სპეციალისტებით – მეცნიერებით, ხელოვანებით, ხატმწერებით, ასევე გვყავს შრიფტოლოგი, სხვათა შორის, მომავალ კონკურსში ვაპირებთ დავამატოთ ნომინაცია, რომელიც ქართული შრიფტის შექმნასაც წაახალისებს. ამ კონკურსის განხორციელებაში მხარს გვიჭერს ქართული დიასპორის აპარატი და, მათი დახმარებით, უცხოეთში მცხოვრები ქართველებიც მონაწილეობენ. დიდი მადლობა ყველა მონაწილეს, ისინი ყველანი გამარჯვებულები არიან.“

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე, **ბელა კოპალიანი**: *„დღეს იყო არაჩვეულებრივი დღე, რომელშიც მთელი საქართველო მონაწილეობდა. ბედნიერი ვარ, რომ ამ ღონისძიებაში მეც ვმონაწილეობდი. აფხაზეთისა და კულტურის სამინისტრო ყოველთვის იდგება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გვერდით და მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ამ ეროვნული საუნჯის გაძლიერებისა და პოპულარიზაციის საქმეს. სამომავლოდ ვგეგმავთ, ხელნაწერთა პოპულარიზაციისთვის, შეიქმნას ცალკეული ჯგუფები, რომელსაც ქალბატონი* ***ლეილა ბაღბაია*** *უხელმძღვანელებს, ვინაიდან მისთვის ეს ძალიან სათუთი და საყვარელი საქმეა. დარწმუნებული ვარ, ღირსეულად გაუძღვება ამ საქმეს.“*

გიორგი სისაური, კალიგრაფი: *„როცა ადამიანი, რაღაც სფეროში საკუთარ თავს მოსინჯავ და აღმოაჩენ, რომ ამის ნიჭი გაქვს და კარგად აკეთებ, შემდეგ ის უკვე შენი ნაწილი ხდება. კალიგრაფია ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა“.*

დათო მაისურაძე, კალიგრაფი: *„კალიგრაფიის ნიჭი, გარკვეულ დონეზე, ყველას აქვს, მაგრამ როცა ხელნაწერებს ათვალიერებ, აკვირდები, იქიდან რაღაც დეტალებს იღებ, ამით შენს ნიჭს, რომელიც მანამდე არ ჩანდა, მეტად ამჟღავნებ. ნიჭთან ერთად სწავლაც, ხშირად, უფრო მნიშვნელოვანია. ძალიან ადრეული ბავშვობიდან დავიწყე წერა. ვიდრე სკოლაში მივიდოდი, უკვე ვიცოდი ასომთავრული და მხედრული. ეს ინტერესი დღემდე გამომყვა. კალიგრაფიას გატაცებას ვერ დავარქმევ, რადგან ამ პროფესიით ვმუშაობ კიდეც, ამიტომ შეიძლება ითქვას, ეს ჩემი მეორე პროფესიაა.“*

მეგი ჯალაღონია: აფხაზეთის მე-11 საჯარო სკოლის მოსწავლე: *„კონკურსში მეორედ მივიღე მონაწილეობა. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ კონკურსში მონაწილეობა, რადგან არსებობს სტერეოტიპი, თითქოს ახალგაზრდებმა მივივიწყეთ ჩვენი თვითმყოფადი ტრადიცია და ბედნიერი ვარ, რომ ამ თვითმყოფადი ტრადიციის შენარჩუნებაში მცირე წვლილი შევიტანე. ამისთვის დიდი მადლობა ორგანიზატორებს.“*

ნონა დავითაია: *„არქიტექტურის ფაკულტეტი დავამთავრე და ამჟამად მინის დიზაინზე ვსწავლობ. ვეცადე, ჩემი ნამუშევრები რაც შეიძლება განსხვავებული ყოფილიყო – ტრადიციული ორნამენტებისგან მთლიანად გავანთავისუფლე. სწორედ ამ განსხვავებული სტილისთვის გავიმარჯვე ორ ნომინაციაში, თორემ საპრიზო ადგილი არ ამიღია – „რუსთავი – 2“-ის პრიზი, P.S.-მა – 500-ლარიანი ჯილდო გადმომცა, ხოლო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოებამ 100-ლარიანი პრიზი. კონკურსში შარშანაც ვმონაწილეობდი და მეორე საპრიზო ადგილზე გავედი. საერთოდ, მთლიანად მინდა შევცვალო ჩემი სტილი და მომავალ წელს ისევ განსხვავებული ნამუშევრებით წარვდგე კონკურსზე“.*

ნინო ჩხვიმიანი: *„კონკურსი მეოთხე წელია ტარდება, წინა წლებშიც ვმონაწილეობდი, როგორც სკოლის მოსწავლე. მაშინაც მქონდა გარკვეული წარმატებები, ნომინაციებში გავიმარჯვე, ჩემი პედაგოგი ლილე ჩხეტიანია. თუმცა, წელს უფრო საპასუხისმგებლო იყო. ვფიქრობ, მეტი მომეთხოვებოდა. ძალიან ვამაყობ, რომ ჩემი ხელნაწერი ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის რჩეული გახდა“.*

დაჯილდოებაზე **ლილე ჩხეტიანის** სახელი არაერთხელ გაჟღერდა, მისმა მოსწავლეებმა სხვადასხვა კატეგორიაში აიღეს საპრიზო ადგილები. ბუნებრივია, ის ამ სიხარულს ვერ მალავდა და თავისი პატარა შეგირდებით ამაყობდა: *„ძალიან მიხარია, რომ ჩემი მოსწავლეები კონკურსში სხვადასხვა ნომინაციებში იმარჯვებენ. ჭუბერის სკოლაში ვასწავლი ხელოვნებას, კალიგრაფიის წრე ჩამოვაყალიბე. 2009 წლიდან კალიგრაფიით დაინტერესებულ ბავშვებს ვასწავლი ამ ხელოვნებას. დაინტერესება მართლაც ძალიან დიდია. დღეს, ჩემმა მოსწავლეებმა სამივე კატეგორიაში აიღეს პრიზები.*

სამხატვრო აკადემია დავამთავრე მონუმენტური დეკორატიული ხელოვნების სპეციალობით, შემდეგ სვეტიცხოვლის ხატწერის სკოლაშიც დავდიოდი ერთი წელი. ქართული ორნამენტი ყოველთვის მაინტერესებდა, ლამაზად წერა მიყვარს. ამ კონკურსში მეც ვმონაწილეობდი, 2011 წლის გამარჯვებული ვარ, თუმცა, ჩემმა მოსწავლეებმა უფრო ადრე, 2010 წელს, მიიღეს მონაწილეობა, მაშინ ზრდასრულებისთვის ეს კონკურსი არ იყო გამიზნული. შემდეგ ასე განვითარდა ყველაფერი და, რაც მთავარია, ჭუბერში კალიგრაფიის სტუდია გვაქვს“ – გვითხრა ლილე ჩხეტიანმა.

კალიგრაფთა კონკურსზე ხშირად ახსენებდნენ ქალბატონ ლეილა ბაღბაიასაც, რომელიც წელს უკვე ჟიურის წევრიც გახლდათ.

ქველმოქმედთა სახლის „მომავლის გზას“ ხელმძღვანელმა, **დავით კინწურაშვილმა**, სწორედ ქალბატონი ლეილას დამსახურებად მიიჩნია, მათი სახლის ერთ-ერთი ბენეფიციარი წლევანდელ კონკურსში ფინალისტი რომ გახდა: *„წელს პირველად ვმონაწილეობთ კონკურსის დაჯილდოებაში, ეს ქალბატონი ლეილა ბაღბაიას დამსახურებაა, რომელიც უანგაროდ დადის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლებში, სოციალურად დაუცველ ოჯახებში და ეძებს ნიჭიერ ახალგაზრდებს, ცდილობს მათი ნიჭის რეალიზებას. დღეს ერთ-ერთი ასეთი ნიჭიერი ბავშვი, რომელიც ქალბატონმა ლეილამ აღმოაჩინა, ფინალისტია. ის ჩვენი ბენეფიციარი იყო –* ***არტურ ვართაპეტოვი***. *მიხარია, ასეთი კარგი საქმე რომ კეთდება. ჩვენ მისთვის დავაწესეთ პრიზი – ერთი წლის განმავლობაში, ყოველთვიურად, მიიღებს სტიპენდიას – 200 ლარს.“*

ლეილა ბაღბაიას მასტერ კლასების შემდეგ გადაწყვიტეს აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლეებმა კონკურსში მონაწილეობა.

თეიმურაზ შალამბერიძე, მასწავლებელი, სახელმწიფო პროგრამა „ვისწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“: *„ქართული ენის მასწავლებელი ვარ აზერბაიჯანულ სკოლაში. მეორე წელია ქვემო არქევანისა და მამხუტის საჯარო სკოლები ვმონაწილეობთ კალიგრაფთა კონკურსში. ჩვენს მოსწავლეებს კალიგრაფია ქალბატონმა ლეილა ბაღბაიამ ასწავლა, ჩამოდის ხოლმე სკოლაში, ჩვენთან თანამშრომლობს, მასტერ კლასებს უტარებს მოსწავლეებს. ბავშვები ძალიან დაინტერესდნენ და ჩაერთვნენ ამ პროექტში. წელს ფინალისტებიც გახდნენ და ორი მოსწავლე ქვემო არქევანის საჯარო სკოლიდან გამარჯვებულია. ეს, თავისთავად, ხელს უწყობს აზერბაიჯანელ მოსწავლეებში ქართული ენის პოპულარიზებას და საზოგადოებაში მათ ინტეგრირებას“.*

„ყოველი ასეთი ღონისძიება ძალიან ძვირფასია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ქვეყნის გარეთ არიან და ძალიან სასიხარულოა, რომ ბატონი ბუბა მათ არასოდეს ივიწყებს, – ასეთი განცხადება გააკეთა **კონსტანტინე სურგულაძემ**, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა – *ვცდილობთ, ჩვენი დიასპორით, მაქსიმალურად ვიყოთ ჩართულები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. თავისთავად, მიზანი ის არის, რომ ქართველებში ქართველობა შევინარჩუნოთ. ამ საქმეში ბატონ ბუბას დიდი წვლილი მიუძღვის სწორედ მსგავსი ღონისძიებებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია უცხოეთში მცხოვრები ქართველებისთვის – ამით ეფერებიან, ხატავენ, ქარგავენ თითოეულ სიტყვას. ისინიც ამ კონკურსში ჩართული არიან ასევე ფერეიდანში, ჰერეთის მიწაზე და თურქეთში მცხოვრები ქართველები და ხშირად იმარჯვებენ კიდეც. დღესაც გვყავს ერთ-ერთი ფერეიდნელი ფინალისტი, რომელიც მესამე ადგილზე გავიდა –* ***იმედა გუგუნაშვილი***. *საოცრებაა, რომ მათ ოთხი საუკუნის განმავლობაში შეინარჩუნეს ქართული დამწერლობა ისე, რომ დღეს კალიგრაფთა კონკურსში მონაწილეობენ. ვულოცავ ყველა მონაწილეს და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს.“*

ელენე მაჭავარიანი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელი, ათეულობით წელია ქართულ ხელნაწერს, კალიგრაფიასა და მის მნიშვნელობას სწავლობს. ის კალიგრაფთა კონკურსის ჟიურის უცვლელი წარმომადგენელია და ამ კონკურსის მონაწილეებზე აღფრთოვანებული საუბრობს: *„მეოთხე წელია, რაც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ბუბა კუდავას ინიციატივითა და უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, კალიგრაფიის კონკურსი ტარდება. საინტერესოა, რომ მონაწილეობენ მოსწავლეები, სტუდენტები, ზრდასრულები და, რაც მთავარია, უცხოეთში მცხოვრები ემიგრანტები. ჟიური დიდი ყურადღებით აკვირდება მათ ნამუშევრებს. რთულია საუკეთესოს გამორჩევა, მაგრამ, საბედნიეროდ, ისე ვუდგებით ამ საკითხს, რომ გვინდა უკეთესზე უკეთესი გამოვავლინოთ. ირკვევა, რომ ჩვენი კონკურსანტები, გარდა იმისა, რომ კარგი კალიგრაფები არიან, იმავდროულად არიან მხატვრები, მუსიკოსები, ხატმწერები, პოეტები... ჩვენდა საბედნიეროდ, ასეთი შემადგენლობა მოდის კონკურსში.“*

კალიგრაფები მომავალ კონკურსამდე დაგვემშვიდობნენ.

ლალი ჯელაძე

საატესტატო გამოცდები

სკოლის დამამთავრებელი გამოცდის პროგრამა უცხოურ ენებში

პროგრამა ითვალისწინებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ შემდეგ ენობრივ უნარს და მისაღწევ შედეგებს:

<u>მიმართულება კითხვა</u>
უცხ.ს.VI. 3. მოსწავლე კითხულობს და იგებს სხვადასხვა თემაზე შექმნილ შემეცნებით ტექსტს.
უცხ.ს.VI. 4. მოსწავლე კითხულობს და იგებს საგაზეთო პუბლიკაციებს, რომლებიც შეიცავენ გარკვეულ თვალსაზრისს, მსჯელობას კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით.
უცხ.ს.VI. 8. მოსწავლე აანალიზებს ტექსტს სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით.
უცხ.ს.VI. 10. მოსწავლე ფლობს და იყენებს სტრატეგიებს ტექსტის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით.

სკოლის დამთავრების მსურველს უნდა შეეძლოს ასევე გაიგოს და მოთხოვნის შესაბამისად გამოიყენოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული A2/B1 დონის **ლექსიკა და ენობრივი ფუნქციები.**
დავალების ტიპი არის მრავალჯერადი არჩევანი.

გრამატიკული საკითხების ჩამონათვალი

ინგლისური

არსებითი სახელი	საკუთარი, საზოგადო თვლადი, უთვლადი ბრუნება / რიცხვი
არტიკლი	განსაზღვრული, განუსაზღვრელი, ნულოვანი
ზედსართავი სახელი	შედარების ხარისხები
რიცხვითი სახელი	რაოდენობითი, რიგობითი
ნაცვალსახელი	პირის, ჩვენებითი, კუთვნილებითი, კითხვითი, განუსაზღვრელობითი, უკუქცევითი, ემფატური, მიმართებითი
ზმნა	წესიერი, არაწესიერი სრულმნიშვნელოვანი, დამხმარე მაერთი ზმნები (linking verbs) ზმნის უპირო ფორმები მოდალური ზმნები(can, be able to; may, be allowed to; must, have to, be to; should, would) ფრაზული ზმნები
ზმნის დროები მოქმედებით გვარში	Present, Past, Future Simple Future in the Past Simple Present, Past, Future Continuous Present, Past, Future Perfect Present, Past Perfect Continuous
ზმნის დროები ვნებით გვარში	Present, Past, Future Simple Present, Past Continuous Present, Past Perfect
ზმნიზედა	დროის, ადგილის, ხარისხის, ვითარების, კითხვითი, განუსაზღვრელი, სიხშირის შედარების ხარისხები
წინდებული	ადგილის, დროის, მიმართულების და ა.შ.
კავშირი	მაკავშირებელი (and, or, so, but, et.) მაქვემდებერებელი (where, when, because, as soon as, etc.)
ნაწილაკი	no, not, too, only, even, just, still, etc.
წინადადება	მტკიცებითი, კითხვითი, უარყოფითი თხრობითი, ბრძანებითი მარტივი, რთული თანწყობილი, რთული ქვეწყობილი პირობითი I, II (Conditional I, II)
პირდაპირი და ირიბი თქმა	წინადადების წყობა დროთა თანმიმდევრობა
სიტყვაწარმოება	სუფიქსები (-y, -er, -able, -ly, etc.) პრეფიქსები (un-, ir-, im-, etc.)
კონსტრუქციები	there is/ are, let me, to be going to, used to, make me do, etc.

გერმანული

არსებითი სახელი	ბრუნვა, ბრუნება, სქესი, მრავლობითი რიცხვის წარმოება
არტიკლი	განსაზღვრული, განუსაზღვრელი, ნულოვანი
ზედსართავი სახელი	ბრუნება, შედარების ხარისხები
რიცხვითი სახელი	რაოდენობითი, რიგობითი
ნაცვალსახელი	პირის, კუთვნილებითი, ჩვენებითი, მიმართებითი, კითხვითი, განუსაზღვრელი, უპირო
ზმნა	სუსტი, ძლიერი, არაწესიერი და შერეული ზმნები; ზმნის ძირითადი ფორმები; ზმნის დროის ფორმები; უკუქცევითი, დამხმარე და მოდალური ზმნები; მოუცილებად და მოცილებად თავსართიანი ზმნები; კაუზატიური ზმნები; იმპერატივი; ინფინიტივი zu ნაწილაკით და მის გარეშე; პარტიციპ I და II; ვნებითი გვარი; ზმნის ვალენტობა და მართვა
ზმნიზედა	დროის, ადგილის, ვითარების; ზმნიზედის შედარების ხარისხები
წინდებული	Dativ-ის: mit, von, bei, zu, nach, seit,aus, außer, entgegen, gegenüber Akkusativ-ის: durch, für, ohne, um, gegen, wider, bis, entlang Genitiv-ის: während, wegen, statt, trotz, innerhalb, außerhalb Dativ-Akkusativ-ის: an, auf, hinter, neben, in, über, unter, vor, zwischen
უარყოფა	nicht, kein
კავშირი	მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები: und, aber, denn, oder, sondern, als, wenn, dass, ob, während, bis, weil, da, obwohl
მარტივი წინადადება	თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი
რთული წინადადება	თანწყობილი, ქვეწყობილი

ფრანგული

არსებითი სახელი	მდედრობითი სქესისა და მრავლობითი რიცხვის წარმოება
არტიკლი	განსაზღვრული, განუსაზღვრელი, შერწყმული, ნაწილობითი
ზედსართავი სახელი	ჩვენებითი, კუთვნილებითი, თვისებითი, სქესისა და რიცხვის წარმოება, შედარების ხარისხები
რიცხვითი სახელი	რაოდენობითი და რიგობითი
ნაცვალსახელი	პირის (მახვილიანი, უმახვილო), პირდაპირი და ირიბი დამატების ფუნქციით, განუსაზღვრელი, კუთვნილებითი, ჩვენებითი, მიმართებითი, ზმნიზედური en და y
ზმნა	წესიერი, არაწესიერი ზმნის სამი ჯგუფი, კილო, დრო, აქტიური და პასიური ფორმები, ნაცვალსახელოვანი ზმნები, უპირო ზმნები, participe passé-ს შეთანხმება პირის ნაცვალსახელთან être-ით ნაუღლებ ზმნებში, კონსტრუქციები il y a, verbe+infinitif, il faut+nom, il faut+infinitif du verbe
ზმნის დროებისა და ფორმების წარმოება და გამოყენება	Présent, futur proche/futur immédiat, passé récent/passé immédiat, imparfait, passé composé, participe passé, plus-que-parfait, passé simple, futur simple, participe présent, gérondif, impératif, infinitif, conditionnel présent, futur dans le passé
კითხვის დასმა	ინტონაციით, მტკიცებით ფორმაზე საქცევი “est-ce que”-ს დამატებით, ინვერსიით, კითხვითი ნაცვალსახელებით, კითხვითი ზედსართავებითა და კითხვითი ზმნიზედებით (Qui est-ce? Comment est ta voiture? Quelle robe veux-tu acheter?)
უარყოფა	ne - *verbe* - pas/rien/jamais/plus/ni… ni, que...
ზმნიზედა	დროის და ადგილის გამომხატველი, შედარების ხარისხები
წინდებული	à, en, dans, sur, sous, chez,etc.
კავშირი	მაკავშირებელი - mais, où, et, ni, car, donc მაქვემდებარებელი - que, quand, parce que, lorsque, etc.
წინადადება	მტკიცებითი, კითხვითი, უარყოფითი მარტივი, რთული თანწყობილი, რთული ქვეწყობილი პირობითი (conditionnel présent)
წინადადების წევრები	მთავარი, მეორეხარისხოვანი
პირდაპირი და ირიბი თქმა	წინადადების წყობა; დროთა თანმიმდევრობა

რუსული

არსებითი სახელი	ჯგუფები: სულიერი და უსულო, საკუთარი და საზოგადო, კონკრეტული და აბსტრაქტული, კრებითი, ნივთიერებათა. სქესი, რიცხვი, ბრუნვა. ბრუნების ტიპები; თავისებურ სახელთა ბრუნება; უცვლელი არსებითი სახელები
ზედსართავი სახელი	სქესი, რიცხვი, ფუძე, ბრუნება, შეთანხმება არსებით სახელებთან. ჯგუფები. შედარების ხარისხები. სრული და მოკლე ფორმა
რიცხვითი სახელი	მარტივი, რთული, შედგენილი. რაოდენობითი, რიგობითი, კრებითი. ბრუნება. რიცხვითი სახელი არსებით სახელთან ერთად
ნაცვალსახელი	ჯგუფები: პირის, კუთვნილებითი, კითხვითი, მიმართებითი, ჩვენებითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, უარყოფითი, უკუქცევითი. ბრუნება. შეთანხმება არსებით სახელთან
ზმნა	ინფინიტივი, ასპექტი, დრო, პირი და რიცხვი, კილო. გარდამავალი, გარდაუვალი. უკუქცევითი. უღლება. თავისებურ ზმნათა უღლება. მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები
ზმნიზედა	ჯგუფები, შედარების ხარისხები, ზმნიზედის წარმოება.
კავშირი	შემაერთებელი, მაპირისპირებელი, განმაცალკევებელი, მაქვემდებარებელი კავშირები. მაკავშირებელი სიტყვები
წინდებული	მარტივი და რთული. წინდებულიანი ბრუნვები წინდებულების გამოყენება
ნაწილაკი	უარყოფითი, მოდალური, ფორმაწარმომქმნელი
შესიტყვება	აგებულება. სინტაქსური შეკავშირების სახეები (შეთანხმება, მართვა და მირთვა).
წინადადება	<u>მარტივი წინადადება:</u> წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით. წინადადების მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები. მარტივი და რთული, გავრცობილი და გაუვრცობელი, სრული და არასრული წინადადება. წინადადების ერთგვარი წევრები. <u>რთული წინადადება:</u> რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადება. დამოკიდებული წინადადების სახეები. უკავშირო რთული წინადადება. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. ციტატები, ციტირების ხერხები
სიტყვაწარმოება	სიტყვაწარმოების ძირითადი ხერხები აფიქსების სემანტიკური პოტენციალი

ნობელიანტი მწერალი

„არ ჰკითხოთ რჩევა ყველა მწერალს“ და „მთავარია, არ ჰგავდეთ ძველებს“

ფამუქის თბილისური დღეები

ლალი ჯელაძე

გასული კვირა, ანუ გაზაფხულის დასაწყისი, საქართველოში „ფამუქობის“ კვირად გამოცხადდა და ქვეყანა სრულიად სახალხო აღფრთოვანებამ მოიცვა. რასაკვირველია, ფამუქის შესახვედრად რიგში მდგომი „ლიტერატურის“ მოყვარულების საწინააღმდეგო, თავისთავად, არაფერი მაქვს, თუმცა, ჩვენს ქვეყანაში მწერლის ასეთი აღზევება ჯერ არ მინახავს და ამით ცოტა გაკვირვებული, შორიდან, ფამუქის მიღმა დარჩენილი, ვადევნებდი პროცესებს თვალს – მიღმა იმიტომ დავწერე, რომ ამ რიგში მოხვედრის მცდელობის მიუხედავად ვერაფრით ვერ აღმოვჩნდი. არადა ვეცადე, ნობელიანტ მწერალს ახლოდან შევხედავ-მეთქი, მაგრამ არ გამომივიდა – ეტყობა, მკაცრად დაცული მოსაწვევების დარიგება ჩემნაირ მკითხველზე არ იყო გათვლილი. ჰოდა, მეც (რადგანაც სხვა აღარაფერი მქონდა დარჩენილი) ინტერნეტით ვადევნე თვალი „საყოველთაო ფამუქობას“. სოციალური ქსელებით რას არ შეიტყობ და ბევრი რამეც სწორედ აქედან გავიგე. თურმე, ფამუქს პოეზია არ ჰყვარებია. ეს ერთ-ერთი ჩემი ფეისბუკელი პოეტი მეგობრის სტატუსიდან შევიტყვე – თურმე ფამუქის ჩამოყვანის ერთ-ერთ ორგანიზატორ გამომცემელთან ერთად სადილობისას, მწერალს უკითხავს მისთვის: თქვენი გამომცემლობა ლექსებს გამოსცემსო? გამომცემელს უპასუხია: არაო. ფამუქს უთქვამს: აი, ამით კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჭკვიან გამომცემლობასთან მქონია საქმეო... ჰოდა, ამაზე პოეტების „რეაქციამაც“ არ დააყოვნა და მიხეილ ღანიშაშვილმა იუმორესკაც მიუძღვნა:

უპოეზიო ორჰან ფამუქი
(იუმორესკა)

ბაკური სულაკაურს რომ
უსაუბრია ფამუქთან,
იმ ერთი ფრაზით დღეიდან
ეგ კაცი ჩემთვის გამუქდა.
არადა, რა პატივს ვცემდი,
თან რა ალალად, რა მუქთად,
ახლა ვფიქრობ, რომ სახელი
ორჰანის ტყვილა გაბუქდა.
ლექსები არ ყვარებია,
რაღა გვიშველის ჭაბუკთა,
სამგლოვიაროს შემოვკრავთ
რვა წინწილას და ცხრა ბუკთა!

პოეტი იქვე აკეთებს მინაწერს, რომ: *„არ მინდა ვინმემ ეს ჩემი იუმორესკა ფამუქის, ამ მართლაც ნიჭიერი და მსოფლიო მწერლის წინააღმდეგ გალაშქრებად ჩამითვალოს. უბრალოდ, პოეზიის ასე ერთი ხელის მოსმით უარყოფა, ცოტა უგბილად მოხვდა ყურს და იმიტომ წავიეშმაკე ლექსად...*

თუ შევცდი, საჯაროდ ვიხდი ბოდიშს ორჰან ფამუქის წინაშე და ამ პოსტსაც ავიღებ. მითუმეტეს, რომ ზოგმა ჩემი პოსტი ფამუქის, თურქული კულტურისა და თურქეთის საპირისპიროდ აღიქვა, რაც ჩემი მხრიდან ნამდვილად მოკლებულია საფუძველს.“

ეს „წაეშმაკება“ მართლაც იქით იყოს და ახლა ნობელიანტი მწერლის შეხვედრას მივუბრუნდეთ.

პირველი კომენტარი მწერალმა აეროპორტშივე გააკეთა:

„ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში ჩამოვედი. ცოტა დამაგვიანდა, რადგან 60 წლის ვარ და პირველად ვესტუმრე თქვენს ქვეყანას. დიდი ენთუზიაზმით ჩამოვედი. ვიცი, რომ ჩვენს კულტურათა შორის ბევრია საერთო, შავი ზღვა გვაერთიანებს. ქართული კულტურის დიდი ნაწილია სტამბულში, ჩემს წარსულში. ასე რომ, სიამოვნებით ჩამოვედი, რომ ვნახო ქვეყანა, რომელიც მიყვარს და რომელთანაც დიდ კავშირს ვგრძნობ.“

„დაგვიანებულმა სტუმარმა“ (მისივე თქმით), ჟურნალისტებთან გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ქართველი მწერლების შესახებ ნურაფერს კითხავენ, რადგანაც ძალიან ცოტა იცის ქართული ლიტერატურის შესახებ და ამის გამო მოიბოდიშა კიდეც: *„ძალიან ცოტა თარგმნილი ქართული ლიტერატურა ვიცი, ისიც მხოლოდ ინგლისურ ენაზე, მაპატიეთ! ჩვენ შავი ზღვის გარშემო ვცხოვრობთ და უფრო მეტი თარგმნილი ქართული ლიტერატურა უნდა იყოს. მაგალითად, ქართულიდან თურქულად ან თურქულიდან ქართულად. მე საერთაშორისოდ აღიარებული მწერალი ვარ, თუ გინდათ, რომ ქართული ლიტერატურა ითარგმნოს თურქულად, აღიარება ჯერ დასავლეთში, შემდეგ კი ევროპაში უნდა მოიპოვოთ.“*

ფავორიტ ნაწარმოებად კი „ანა კარენინა“ დაასახელა, საყვარელ მწერლებად – დოსტოევსკი, თომას მანი, ტოლსტოი და სხვ.

60 ენაზე ნათარგმნ ნობელიანტს ქართულ მედიასთან კიდევ ერთხელ მოუწია კითხვაზე – რატომ არის მისი წიგნები პოპულარული – პასუხის გაცემა. *„უკვე დიდი ხანია პასუხს ვცემ კითხვას, რატომ არის ჩემი წიგნები პოპულარული. არ ვიცი, ვერ გეტყვით, ვწერ იმას, რაც მინდა და ვწერ იმას, რაც მსიამოვნებს. ძალიან ბევრს ვმუშაობ. თუ თქვენ შემეკითხებით, რატომ არის ჩემი წიგნები პოპულარული აზიურ ქვეყნებში ან თქვენთან, საქართველოში, გიპასუხებთ – ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი ცხოვრება ერთმანეთს ჰგავს, ერთი გზა გვაქვს გავლილი – დიდი ოჯახები და ტრადიციები გვაქვს. თბილისი ისტორიულად ძალიან მდიდარი ქალაქია, ბედნიერი ვარ, რომ ჩამოვედი და ის ჩემს წარმოსახვას დაემთხვა“.*

შემთხვევით ლიტერატურაზე გადართული მწერალი – ასე უწოდა ფამუქმა საკუთარ თავს, რადგანაც მასში, როგორც აღნიშნა, მხატვარიცაა და მხატვრობიდან შემთხვევით გადაერთო ლიტერატურაზე. მისმა მხატვრობისადმი გამორჩეულმა დამოკიდებულებამ საქართველოში ჩამოსვლისთანავე იჩინა თავი – ხელოვნების მუზეუმს ეწვია: *„მე დღეს ცოტა დრო მქონდა და ეროვნულ გალერეაში ფიროსმანის ნამუშევრები დავათვალიერე. მე მას ვაღმერთებ – ეს არის ქართული კულტურის საგანძური. მას შესანიშნავი, ღრმა, გულუბრყვილო, დემონური მხატვრობა აქვს. რამდენიმე წლის წინ ფილმიც ვნახე ფიროსმანზე და შთაბეჭდილების ქვეშ მოვექეცი. ჩამოხვიდე სტამბულიდან პირდაპირ ამ მუზეუმში და ნახო ეს სიმდიდრე, დიდი სიამოვნებაა“.*

ახალგაზრდა მწერლებს მსოფლიო ბესტსელერების ავტორმა ურჩია, რომ მთავარია, არ ჰგავდნენ ძველებს. მისივე თქმით, მწერლის ცხოვრება რთულია, თუნდაც მწირი შემოსავლის გამო. *„ეს განსაკუთრებით დასაწყისშია. გადარჩები, თუ შენ ძალიან გიყვარს წერა. საერთაშორისო ცნობადობა შეიძლება მოვიდეს, შეიძლება არა. რთულია, მაგრამ თუ ძალიან გინდა, შეძლებ!“*

***

„ქართული ფამუქი ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის ერთ-ერთი ნათელი წერტილია, თუკი გავითვალისწინებთ სავალალო მდგომარეობას და წარმოუდგენლად ნელ ტემპებს, რა ტემპებითაც ითარგმნება კლასიკა და უახლესი მწერლობა. ფამუქი ამ მხრივ ნამდვილად გამონაკლისია. მას ყველაზე მეტად გაუმართლა ჩვენში, თუმცა უფრო მეტად გაუმართლა ქართველ მკითხველსაც, იმის გამო, რომ საქართველოში აღმოსავლეთმცოდნეობის კარგი სკოლა არსებობს და ჩვენი თურქოლოგები კლასიკაზე უფრო ბარაქიანად უახლესი ლიტერატურის ნიმუშებს თარგმნიან. აღმოსავლეთმცოდნეს, მთარგმნელისა და პოეტის გიორგი ლობჟანიძის აზრით, საქართველოში არავინ დალოდებია, სანამ ფამუქს მსოფლიო აღიარებდა, მას ნობელის პრემიამდეც კარგად იცნობდნენ ჩვენში:

„რაც შეეხება ქართულ თარგმანებს... ქართული აღმოსავლეთმცოდნეობა არ დალოდებია იმას, რომ ფამუქი მსოფლიოში ეღიარებიათ და გამოჩენისთანავე დაიწყო მისი შემოქმედების შესწავლა. ჩვენი თურქოლოგები – თამუნა ალფენიძე, ქეთევან ტომარაძე, ნანა ჯანაშია და ლია ჩლაიძე აქტიურად შეისწავლიდნენ და თარგმნიდნენ მის ნაწარმოებებს“.

თავად ფამუქი, მისი პირადი ცხოვრებით, შეხედულებებით და წერის მანერით, ცალკე თემაა. XX საუკუნის 80-იანი წლების თურქეთში არავინ ელოდა ასეთი მწერლის გამოჩენას, მწერლისა, რომელიც გულახდილიც იყო და თამაშობდა კიდევაც კულტურული მეტაფორებით. ფამუქში, შეიძლება ითქვას აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურული ტრადიციის შერწყმა მოხდა:

„საერთოდ ძალიან უცნაური იყო ფამუქის გამოჩენა თურქულ ლიტერატურაში და კონკრეტულად იმ სახის მწერლის გამოჩენა, როგორიც ფამუქია. საკმაოდ ღარიბია თურქული ლიტერატურა, განსხვავებით სხვა აღმოსავლური ლიტერატურებისგან და მას პრაქტიკულად თანამედროვე ლიტერატურა ისეთი დონის ჰქონდა, რომ ნაკლებ სავარაუდო იყო ამ მასშტაბის მწერლის გამოჩენა. თვითონ თურქეთში ფამუქის მიუღებლობა მე მგონი სწორედ ამითაც არის განპირობებული, რომ იგი პიროვნული აქტით შემდგარი მწერალი უფროა და დიდად გაუსწრო დროს და თავის თანამედროვე თურქულ ლიტერატურას. თავის მხრივ მისი პოლიტიკური შეხედულებებიც ამძაფრებს პროტესტს და ხშირად გამიზნული ხასიათის არის ხოლმე, რათა დასავლური საზოგადოების ყურადღება მიექცია“ – ეს არის ამონარიდი „არილში“, 2011 წელს დაბეჭდილი მალხაზ ხარბედიას წერილიდან – „ორჰან ფამუქის მეოთხე წიგნი ქართულ ენაზე“, წერილის დასასრულს ავტორი წერს:

„ჩვენ კი იმედი დავიტოვოთ, რომ ახლო მომავალში თავად ავტორსაც გავიცნობთ პირადად. საქართველოში უკვე ყველა პირობა არსებობს საიმისოდ, რომ თურქი ნობელიანტი ვისტუმროთ. თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორჰან ფამუქს თბილისზეც აქვს დაწერილი რამდენიმე ძალიან თბილი სიტყვა.“

***

ორჰან ფამუქი თბილისში თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტებისა და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მოწვევით ჩამოვიდა. მის ვიზიტებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა სწორედ თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტის სტდენტებთან შეხვედრა იყო. მას თავისუფალი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის წოდება მიანიჭეს. დარბაზში მყოფ აუდიტორიას ნობელის პრემიის ლაურეატმა მწერალმა უთხრა, რომ 2006 წლამდე პროფესორი არასოდეს ყოფილა, სანამ კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორობას მიიღებდა. ის ახლა ამავე უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს და ასწავლის იმას, „რითიც მისი გონება არის მოცული.“ სტუდენტებთან მწერლის შეხვედრა, ბუნებრივია, ვერ ასცდებოდა ლიტერატურაზე და მწერლობაზე საუბარს, მაგრამ საუბარი ცოტა პოლიტიკასაც შეეხო.

ფამუქისთვის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის პარალელების გავლება და შედარებები, იდენტობების ძიება ახლა იმდენად აქტუალური არ არის, თუმცა, მწერალმა დარბაზს გაუმხილა, რომ ათი წლის წინ მისი გონება დატვირთული იყო ამ საკითხებზე ფიქრით და მასთან ერთად თურქეთის ისტორიითაც. თურქეთის ადგილი რუკაზე, თურქეთის ისტორია და მისი მდებარეობა აზიასა და ევროპას შორის, წარმოშობდა კითხვებს თურქეთის იდენტობის შესახებ და დასავლეთისა და აღმოსავლეთის ძიება აისახებოდა თურქეთის პოლიტიკაზე. თუმცა, ეს საკითხები ახლა იმდენად აქტუალური აღარ არის არც მისთვის და არც თურქეთისთვის. *„შესაძლოა იმიტომაც, რომ ახლა თურქეთი უფრო დიდი და უფრო ძლიერი ქვეყანაა და ევროპული გავლენა ნაკლებად მნიშვნელოვანია. ამ და კიდევ სხვა მიზეზების გამო, ახლა ნაკლებად ვფიქრობ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა დასავლეთისა და აღმოსავლეთის იდენტურობის პრობლემები.“* მისი განმარტებით, 10 წლის წინ აქტიურად მუშაობდა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებაზე. მისი აზრით, ეს პოლიტიკური იდეაა და არა მარტო. მიიჩნევს, რომ თურქეთის ევროკავშირში შესვლა ძალიან კარგი იქნებოდა თურქული სასამართლო სისტემისთვის, ეკონომიკური სისტემისთვის, გამოხატვის თავისუფლებისა და უმცირესობების უფლებების დაცვისთვის. *„თუმცა, თურქეთის ევროკავშირთან დაახლოება შეჩერდა ქვეყანაში შექმნილი ნაციონალური და სხვა ძალების წინააღ-*

მდეგობის და იმ ეკონომიკური პრობლემების გამო, რომელიც ევროპას 2010 წლიდან შეეხო. თურქეთი და ევროკავშირი ახლა მნიშვნელოვანი თემა არ არის.“

ფამუქი ამბობს, რომ თურქეთის მილიონობით მოქალაქე მხარს უჭერს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას, მაგრამ რაიმე ცვლილების მიღწევა, დღესდღეობით, ძალიან ძნელია, რადგან ორივე მხარეს თავისი შიდა პრობლემები აქვს.

მისი ლიტერატურული რაკურსი კი „სურათებისა და სიტყვების“ კავშირზეა მიმართული, რადგან მიიჩნევს, რომ – „სურათები და სიტყვები“ არის კვლევა ისტორიული კავშირისა მხატვრობასა და ლიტერატურას შორის, რომელსაც ის სტუდენტებს უკითხავს. ვიდრე მწერლობას დაიწყებდა, ხატავდა და სწორედ ადრეულმა პროფესიამ განსაზღვრა მისი ინტერესი ფერებისადმი. ასე შეუხამა ერთმანეთს მისთვის ორი ახლობელი პროფესია – მხატვრობა და მწერლობა.

მწერლის აზრით, არსებობენ გულუბრყვილო მწერლები და გულუბრყვილო მკითხველები. გულუბრყვილო მწერლები არ ფიქრობენ თვითშემეცნებაზე, დეტალებზე, ტექნიკაზე, მორალზე და ისე ქმნიან ნაწარმოებებს, თითქოს ისინი ღმერთისგან იყოს ბოძებული. მისთვის უფრო მისაღებია თანამედროვე, მრავალფეროვანი მწერლები, რომლებიც უფრო ფიქრობენ ტექნიკაზე, დეტალებზე და იმაზე, რომ წერონ ისეთ საკითხებზე, რომელზეც თავად ფიქრობენ. საკუთარ თავს მწერლების მეორე ტიპს მიაკუთვნებს.

ნობელიანტმა მწერალმა სტუდენტებს თითოეული ნოველის სიუჟეტის მიღმა დაფარული მაქსიმა ასე აუხსნა – მკითხველი დგას „ნაწარმოების ტყეში“ და ეძებს იმ შინაარსს, რომელიც მწერალმა ნაწარმოებში ჩადო.

„მკითხველი ხედავს ხეებს მის წინ, მაგრამ ზოგადი პეიზაჟის, საერთო ლანდშაფტის დანახვა არ შეუძლია. ეს ის გრძნობაა, როცა დაკარგული ვართ რომანის ტყეში, როცა ვფიქრობთ, რატომ აღწერა მწერალმა ეს ქალაქი, ეს ქუჩა ან ეს პერსონაჟი? ვერ ვიტყვი, რომ ვიღაცამ გაიგო ჩემი ნაწარმოები და ვიღაცამ ვერა. მე პატივს ვცემ ინტერპრეტაციის მრავალფეროვნებას...“

„წიგნების წერა ყოველთვის საშიშია იმ გაგებით, რომ ხანდახან ბედნიერი ხარ, ხანდახან მოწყენილი, მაგრამ ის არასოდეს მთავრდება. როცა ვასრულებ წიგნის წერას, მე უფრო მეტს ვფიქრობ იმაზე, თუ რას იტყვიან ჩემი ოპონენტები, რას იტყვიან გამომცემლები, რას იტყვის ეს ხალხი, ის ხალხი. ეს არის ნაწილი მწერლად ყოფნის“; „არ ჰკითხოთ რჩევა ყველა მწერალს“ – ასეთი იყო მწერლის რჩევები სტუდენტებისადმი.

მორიგი შეხვედრა ფამუქთან რუსთაველის სახელმწიფო თეატრში გაიმართა, რომლის ორგანიზატორი ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა იყო და რომელზე დასწრებაც მოსაწვევებით იყო შესაძლებელი. როგორც თავიდან აღვნიშნე – შეხვედრაზე დასწრება შეზღუდული იყო, თუმცა, ნობელიანტი მწერლის შესახებ ინტერნეტსივრცით, როგორც ხედავთ, ბევრი რამ შევიტყვე და მოკლედ მისი „თბილისური“ ვოიაჟის შემდგომ პორტრეტიც ასე შეიკრა – საყვარელი ნაწარმოები „ანა კარენინა“, აღმერთებს ფიროსმანს! *„მე ვწერ იმას, რაც უბრალოდ სარკეში ირეკლება და როგორც შემიძლია ვკამათობ ამაზე“*; ნობელიანტი მწერლის თბილისში სამდღიანი ვიზიტის ფრაზა: *„სიამოვნებით ჩამოვედი, რომ ვნახო ქვეყანა, რომელიც მიყვარს და რომელთანაც დიდ კავშირს ვგრძნობ!“*

ქართული, როგორც მეორე ენა

მოგესალმებით ძვირფასო კოლეგებო

დიდ ხანია არაფერი დამიწერია... თითქოს არ მცალია, თითქოს სათქმელიც არაფერი მაქვს, თითქოს არც არავის აინტერესებს, რა ხდება ერთი უბრალო რიგითი მასწავლებლის ყოველდღიურობაში, რომელიც სავსეა გაკვეთილის გეგმებით, ტესტებით და საკლასო ჟურნალებით.

თუმცა ეს სასწავლო წელიც საკმაოდ დატვირთული იყო და წინ არანაკლებ საინტერესო მოვლენები გველოდება... მასწავლებელთა კონფერენციები, შეხვედრები, ფეისბუკდებატები, საინტერესო ადამიანების გაცნობა, ადამიანებისა, რომლებიც შენნაირად არიან შეპყრობილი სკოლით, საკუთარი საგნით და, რაც მთავარია, საკუთარი მოსწავლეების სიყვარულით. მე ხშირად მიყვარს შემდეგი აზრების გახმოვანება: 1. ჩვენ მსოფლიოში საუკეთესო პროფესია გვაქვს და 2. ჩვენ, მასწავლებლები არასდროს ვბერდებით, ჩვენ სულ მუდამ იმდენი წლისანი ვართ, რა ასაკის ბავშვებსაც ვასწავლით. სწორედ ასეთი მარადახალგაზრდა მასწავლებლები გავიცანი ამ სასწავლო წელს როგორც ვირტუალურ, ასევე რეალურ სამყაროშიც. ყოველი მათგანის უმთავრესი საფიქრალი და საამაყო არა პირადი წარმატებები, არამედ საკუთარი მოსწავლეების მიღწევები და გამარჯვებებია. მეც დღეს ჩემს მოსწავლეებზე მინდა გესაუბროთ.

შეგახსენებთ, რომ უკვე მესამე წელია ვმუშაობ სომხურენოვან სკოლაში ჯავახეთის ერთ-ერთ სოფელში. ძალიან უკმაყოფილო ვარ ჩემი შედეგებით (ეს ყოველგვარი სიკეკლუცისა და ტყუილი თავმდაბლობის გარეშე), რადგან ჯერ ვერ მივაღწიე იმას, რომ ჩემს მოსწავლეებს ყველაფერი ესმოდეთ, რასაც ვეუბნები და შეეძლოთ იმის ქართულად გადმოცემა, რასაც თავისუფლად ამბობენ საკუთარ ენაზე. ამის გამო, ზოგჯერ სევდა და დეპრესია მიპყრობს – ვსაყვედურობ საკუთარ თავს, ვეძებ გამოსავალს; ზოგჯერ ვპოულობ, ზოგჯერ ვერა; მაგრამ ხშირად ამ სასოწარკვეთიდან გამოვყავარ იმ ბავშვებს, რომლებიც ხალისით და ინტერესით მომყვებიან, ესმით ჩემი და თავიანთ სათქმელსაც მაგებინებენ. მე მათ გამო ვრჩები ამ სკოლაში და ვაგრძელებ იმ საქმეს, რასაც ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება ჰქვია.

პირველი დიდი სიხარული და ჩემი პედაგოგიური გამარჯვება იყო ის, რომ შარშან ჩემმა მოსწავლემ **თაგუში მაკარიანმა** ეროვნული ოლიმპიადის არა მხოლოდ მეორე, არამედ მესამე ტურში გადასვლა მოახერხა, შემდეგ თავის მეგობართან, **კარინე სერობიანთან** ერთად, მასწავლებლის სახლში გამართულ მოსწავლეთა კონფერენციაზე დაუვიწყარი პრეზენტაცია მოამზადეს და ბევრი აღფრთოვანებული და საქებარი სიტყვა დაიმსახურეს. ამის შემდეგ თაგუში იმარჯვებს ერთ-ერთ პროექტში და ერთი სემესტრით მიდის სასწავლებლად აჭარაში, ქართულ სკოლაში, სადაც წარმატებით გაართვა თავი ქართულ ენაზე სწავლებას და, ჩემდა სასიხარულოდ, უფრო დახვეწილი ქართულით დამიბრუნდა უკან.

წელს, ეროვნული ოლიმპიადის მეორე ტურში, უკვე, ერთის ნაცვლად, 4 მოსწავლე გადავიდა. თუმცა ამ ტურის სირთულის დაძლევა, ჯერჯერობით, ისევ მხოლოდ თაგუშიმ შეძლო. თუმცა, დანარჩენების შედეგი მეორე ტურში მაძლევს იმის იმედს, რომ მომავალ ოლიმპიადაზე თაგუში მარტო აღარ იქნება მესამე ტურში.

წელს გადავწყვიტე, რომ ჩემს მოსწავლეებს აუცილებლად მიეღოთ მონაწილეობა ჩემს საყვარელ კონფერენციაში, რომელშიც ჯერ კიდევ ჩემი მოსწავლეობიდან ვმონაწილეობ და ბევრი სიხარული და წარმატება მაკავშირებს მასთან ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდშიც. ეს არის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მიერ ორგანიზებული, ყოველწლიური, მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია, რომელშიც (არავის ეწყინოს) ახალქალაქის სკოლის მოსწავლეებს ჯერ მონაწილეობა არ მიუღიათ რიგი პირობებისა გამო, ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა მაინც ენის არცოდნაა. მაგრამ წელს მე და ჩემმა მოსწავლეებმა გავრისკეთ და გადავწყვიტეთ, მიგვეღო მონაწილეობა ამ კონფერენციაში! ეს არის კიდევ ერთი ნაბიჯი ჩემი მოსწავლეების ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისა და ქართულის სწავლების მოტივაციის გაზრდისა, არა მხოლოდ კონკრეტულად კარინესი და თაგუშის, არამედ მათი თანაკლასელების და ზოგადად თემის, რადგან სოფელში ნებისმიერი მოსწავლის წარმატება საკმაოდ რეზონანსული მოვლენაა. როცა სოფელი ხედავს, რომ ბავშვები, რომლებმაც კარგად იციან ქართული, მონაწილეობენ საკმაოდ სერიოზულ ღონისძიებებში და წარმატებულადაც, ქართული ენის ცოდნა თავისთავად ხდება გამარჯვების, წარმატებისა და წინსვლის სიმბოლო.

...ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის 24 წლის განმავლობაში, მართალი გითხრათ, განებივრებული ვარ ჩემი მოსწავლეებისა და კურსდამთავრებულების სიყვარულით (წინააღმდეგ შემთხვევაში, ამდენ ხანს, ალბათ, ვერ დავრჩებოდი სკოლაში). დღეს ჩემი ეს პატარა წერილი მინდა დავამთავრო ჩემი მოსწავლის, თაგუში მაკარიანის, ნაფიქრალით, რომელიც მან დიდი ხნის მუშაობის შემდეგ მომიტანა, როგორც თავად თქვა, რამდენჯერმე გადაწერა, გადაასწორა, ჩაამატა, მოაკლო და, როცა ჩათვალა, რომ საბოლოო სახე მისცა, წასაკითხად მომიტანა...

მინდა თქვენც წაიკითხოთ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ალასტანის სომხურენოვანი სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლის, თაგუში მაკარიანის, წერილი, რომელშიც ერთი სიტყვა, ერთი ასო და ერთი მძიმეც კი არ ჩამისწორებია, მაგრამ მაინც ჩემ პირად გამარჯვებად ვთვლი.

პატივისცემით,
ინგა ბაგრატიონი

„ქვეყნად არც ერთი ბრძენი არ იყო მასწავლებელი არა ჰყოლოდა“

თაგუში მაკარიანი

მასწავლებელი ცოდნის გამავრცელებელია, რომელიც მის ცოდნას უზიარებს ბავშვებს, რომლებიც ძალიან უყვარს, ბავშვებს რომლებზეც ყოველთვის ზრუნავს. ცნობილია, რომ მასწავლებელს, შეიძლება თავისი ბიოლოგიური შვილი არ ჰყავდეს მაგრამ მაინც ბევრი შვილი ჰყავს მისი მოსწავლეების სახით. მართლაც, რომ მასწავლებლები, ჩვენ როგორც საკუთარ შვილებს, ისე გვიყურებენ და ვუყვარვართ. როდესაც პირველ ნაბიჯებს ვდგამთ ცოდნის სამყაროში, ისინი ფეხდაფეხ მოგვყვებიან და იქ სადაც გაგვიჭირდება დახმარების ხელს გამოგვიწვდიან, როდესაც შეამჩნევენ ჩვენს არასწორ საქციელს, რომელიც მათ არ მოეწონებათ, როგორც დედა შვილს აუხსნის და აძლევს რჩევა-დარიგებას, ისე გვაძლევენ ჩვენ მასწავლებლები რჩევა დარიგებას. როგორც დედას უნდა რომ მისი შვილი კარგი ადამიანი გაიზარდოს სამშობლო ასახელოს, ისწავლოს და იყოს ბედნიერი, მასწავლებელიც იგივეს უსურვებს მას. გამოცდებზე შესვლის წინ მასწავლებელი მთელი გულით გისურვებს წარმატებას და ბოლო წუთამდე მაქსიმალურად მოგცემს რჩევებს, რომელიც ძალიან გამოგადგება, ის კი, შენს მშობლებთან ერთად დაგიცდის, როდის გამოხვალ და ეტყვი, რომ ჩააბარე.

ამ სიკეთისათვის, ამ მოთმინებისათვის, ამ სწავლებისათვის, ამ თბილი მოპყრობისათვის ალბათ ამაგს ვერასდროს ვერ გადავუხდით ჩვენს მასწავლებლებს.

მასწავლებლობა ყველაზე ძნელი პროფესიაა, როგორც ლექსების წერას, ხატვას, ძერწვასა და სიმღერას სჭირდება ნიჭი, ასევე ნიჭია საჭირო, რომ ადამიანი გახდეს მასწავლებელი.

„ქვეყნად არც ერთი ბრძენი არ იყო მასწავლებელი არა ჰყოლოდა“ ეს ნამდვილად ასეა, რადგან ყველა ბრძენს ჰყავდა მასწავლებელი. ყველა ვიცნობთ ჰიპოკრატეს ექიმთა ექიმს, რომელმაც თავდაპირველი განათლება მამასთან მიიღო. ისწავლა და სწავლით მიაღწია იმას, რომ გახდა პირველი ექიმი ისტორიაში, რომელიც ყველა სამედიცინო სფეროს წარმომადგენლის, და არა მხოლოდ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლის არამედ ნებისმიერი ადამიანის მისაბაძი ადამიანია. წარმოგიდგენიათ როგორ გაუხარდებოდა ჰიპოკრატეს მამას და როგორ იამაყებდა იმით, რომ მისი მოსწავლე საზოგადოების მისაბაძი ადამიანია?

მართალია, ჩვენო საყვარელო მასწავლებლებო ამდენი წლის შრომატევადი სამსახურისათვის, თავდადებული შრომისა და მოთმინებისათვის მადლობას ვერასოდეს ვერ გადაგიხდით, იმას კი გპირდებით, რომ სადაც არ უნდა წავიდეთ, სადაც არ უნდა ვიყოთ, რა პროფესიაც არ უნდა ავირჩიოთ, ჩვენს პირველ გზამკვლევებს ცოდნის სამყაროში არასდროს არ დაგივიწყებთ, არასოდეს არ დაგვავიწყდება თქვენი თავდადებული შრომა იმისათვის, რომ ცხოვრებაში წარმატებისათვის მიგვეღწია. როდესაც წარმატებას მივაღწევთ, გაგვახსენდებით თქვენ, ჩვენო საყვარელო მასწავლებლებო, რომ ეს ყველაფერი თქვენი დამსახურებაა.

დასასრულს გავიხსენებ გალაქტიონ ტაბიძის სიტყვებს, რომ ქვეყანაზე ყველა ადამიანი განძია, რომელთაც აღმოჩენა და დაფასება სჭირდებათ. ქვეყანაზე ყველა მასწავლებელი განძია, რომლებსაც დაფასება სჭირდებათ მათი თავდადებული შრომისათვის, ჩვენი აღზრდისათვის.

ჩვენო საყვარელო მასწავლებლებო მომავალში ნიუტონები და აინშტაინები თუ არ გამოვალთ, იმას მაინც შევეცდებით, რომ ჩვენს საქმიანობაში წარმატებას მივაღწიოთ და თქვენ ასე გაგახაროთ, თქვენი თავდადებული შრომა ასე დავაფასოთ, და თქვენც გასახელოთ.

სასკოლო აქტივობა

რამდენი თაობის მოზარდს შესცოდეგია ვაჟა-ფშაველას შვლის ნუკრი ყურეგდაცქვეტილი, ტანხატულა, ღვთისანაგარა დარჩენილი პატარა ოგოლი. ცოცხალი არსეგისადმი თანაგრძნობა გუნეგასთან აახლოვეგს და აფაქიზეგს ადამიანის სულს. ღვთივკურთხეული მგოსნის კალმით ამეტყველეგული შველი ამჯერად ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლეგელმა იზო სამუშიამ გააცნო თავის პატარა აღსაზრდელეგს და მოინადირა კიდეც მათი გული. გულაჩუყეგულმა გავშვეგმა წარმოსახვით რეალოგაში გადაინაცვლეს და წერილეგი მისწერეს შვლის ნუკრს; ცხოველი შეიგრალეს, ადმიანეგს კი ზოგმა კანონი შეახსენა, ზოგმა თვით ადამიანოგა.

შვლის ნუკრს...

❖ ვაჟამ ისე გვიამგო შენი თავგადასავალი, თითქოს ყოველივე ჩვენ თვალწინ ხდეგოდა; ჩვენც ვიტირეთ...

❖ პაწაწავ და ოგოლო, გულისამაჩუყეგელი იყო შენი ნაამგობის მოსმენა. ალგათ, საშინელეგაა დედის გარეშე ცხოვრება. გული გვიკვდება, უდედოდ რომ იტანჯეგი. ჩვენ ვფიქრობთ, ყველა პატარა დედის ალერსში უნდა იზრდეგოდეს.

❖ ნუ გეშინია, პატარავ! ჩვენ ბუნეგის მომავალი დამცველეგი ვართ და გპირდეგით, ავკრძალავთ ამ საშინელეგას.

❖ ჩვენ შევეცდეგით, თვალეგდასისხლიანეგული და ბოროტი ადამიანეგი დავარწმუნოთ, რომ შველზე ნადირობა დანაშაულია.

❖ საბრალო ნუკრო, ნუ ტირი! ბოდიშს გიხდით ყველა უგუნური ადამიანის საქციელის გამო. მას მერე, რაც გაგიცანით, შენი განცდებით ვცხოვრობთ. გვინდა ტკივილი შეგიმსუბუქოთ, თითოეულ ჩვენგანს სურს სახლში წამოგიყვანოს, მაგრამ შენ ხომ გალიაში ვერ გაძლებ?! გიყვარს ტყეში ნავარდობა, ფოთლების შრიალი, ჩიტების ჭიკჭიკი, წყლის ჩქრიალი, წვიმის წვეთები, ველზე სიარული, ბალახის ბიბინი, კოდალას რაკუნის ხმა, შაშვის გალობა...

❖ მართალია, დაგაობლა გულბოროტმა ადამიანმა, მაგრამ გვინდა გახაროთ, რომ, სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, უკვე კანონით ისჯება შენზე ნადირობა.

❖ ჩვენ გადავწყვიტეთ, წამოგიყვანოთ ფშავ-ხევსურეთის დაუცველი ტერიტორიებიდან (ვაჟა თუ არ გვიწყენს) და ჩაგიყვანოთ ლაგოდეხის ან ვაშლოვანის ნაკრძალში. ჩაგაბარებთ ვინმე გულისხმიერ „მიხო პაპას“. ყველა როდია სასტიკი?!.. შეიძენ ახალ მეგობრეგს, გაეცნობი ახალ გარემოს, შეხვდეგი უამრავ ადამიანს.

❖ ჩვენო პაწაწინა, ცხოვრება გრძელდეგა, გული არ გაიტეხო! ამიერიდან დაცული იქნეგა შენი ბინა.

❖ ადამიანეგო, ნუ ესვრით ტყის ბინადართ! ნუ ხოცავთ! მათაც სტკივათ, მათაც უყვართ, ისინიც გრძნობენ, ისინიც განიცდიან.

2014 წელი, 4 მარტი.
V^3 კლასის მოსწავლეეგი

V^3 კლასის მოსწავლეეგი კლასის ხელმძღვანელთან, სოფიო ჩიქოვანთან ერთად

* * *

ეჰ, ჩემო კეთილეგო, გვახარეგს თქვენი გულწრფელი ცრემლი; უცოდველ ბავშვობას გვახსენეგს, მაგრამ ჩვენ უკვე დიდეგი ვართ და, სამწუხაროდ, უმეტესობა „მონადირეეგი“. თქვენ კი, თქვენს გზას ლოცავს ზეციდან ვაჟა, თქვენსავით ჯიუტად სწამს მის სპეტაკ სულს, რომ ოდესმე, ოდესმე, ოდესმე მაინც, რომელიმე მონადირე დაუშვეგს მომარჯვეგულ თოფს და არ ესვრის შვლის ნუკრს.

შორეული და, იმავდროულად, მახლობელი

რთული და საპასუხისმგებლოა მოსწავლეები აზიარო ქართული ლიტერატურის იმ საგანძურს, რომელსაც ჰაგიოგრაფია ჰქვია, აუხსნა სიტყვები, თითქოს შორეული და, იმავდროულად, მახლობელი, თავისი დიდი სათქმელით, მარადიული ღირებულებებით.

ფესვებს ვუფრთხილდებით, გვინდა ახალგაზრდებმაც სიღრმისეულად გაიაზრონ ჩვენი წარსული, ამიტომაც მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის 124-ე საჯარო სკოლის (დირექტორი – **დალილა ზუხბაია**) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა – **იზო სამუშიამ, მავლინა კუტუბიძემ** და **ციცო ყურაშვილმა** გადაწყვიტეს მოსწავლეებისათვის ეჩვენებინათ ქვემო ქართლის ერთ-ერთი ისტორიულ-პოლიტიკური ცენტრი – ცურტავი. მართალია, იქ არაფერი დაგვხვედრია შუშანიკისეული, მაგრამ ისიც გვამაღლებდა, რომ ვეხებოდით იმ მიწას, რომელზეც დედოფლის ნატერფალები საუკუნეებმაც ვერ წაშალა და შევყურებდით ცას, რომელსაც, ალბათ, ზეციური სამართლისმომლოდინე წმინდა დედოფალი შეჰყურებდა.

ექსკურსიას უკვალოდ არ ჩაუვლია, ბავშვების მოტივაცია, მართლაც, ამაღლდა და X^3 კლასის მოსწავლეებმა, ქალბატონი მავლინას დახმარებით, წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია – „ერთად ავუნთოთ სანთლები“.

თითქოს უჩვეულო და ახალი არაფერი იყო, მაგრამ მაინც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იმ დღეს მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტში დაგროვილმა ემოციამ.

საკმევლის სურნელებას აევსო სკოლის დერეფანიც კი. კუთხეში მაცხოვრის მირონმდინარ ხატს დაევანებინა, გალობდნენ სტიქაროსანი ყმაწვილები და ერთხმად ისმოდა „მამაო ჩვენო“. იმიტირებულ მაყვლოვანთან დაჩოქილი ლოცულობდა წმინდა ნინო ვაზის ჯვრით ხელში, მუხლმოდრეკილი შუშანიკი ლოცვით ევედრებოდა უფალს გაურჯულოებული ვარსქენის ცოდვებისაგან საპიტიახშოს დაცვას; შემდეგ გაქრისტიანებული აბო ქართლის სარწმუნოებაში განმტკიცებას შესთხოვდა მაცხოვარს; წმინდანთა ამაღლებული სულისკვეთება იკითხებოდა გრიგოლ ხანძთელის ლოცვაში, თითქოს უცხო მიწაზე მოღვაწე ქართველი ღმერთშემოსილი მამების – იოვანესა და ექვთიმეს გულისძგერაც გვესმოდა. ეკრანზე კი ერთმანეთს ენაცვლებოდა ვიდეოკადრები ცურტავზე, მცხეთაზე, იერუსალიმის წმინდა ადგილებზე, ბოდბესა და წმინდა აბოს სახელობის ეკლესიაზე. ინფორმაციის ნაწილი მოსწავლეებმა ინტერნეტის საშუალებით მოიძიეს, პირადად მოინახულეს და მოილოცეს წმინდა ადგილები.

მოსწავლეების დახმარებით საოცრად ლამაზ, ფაქიზ, სევდიან და შინაარსობრივად დატვირთულ სამყაროში ვიმოგზაურეთ. ბავშვებმა მოგვხიბლეს თავიანთი მჭევრმეტყველებით, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სიყვარულით, კარგი ქართულით, ერთსულოვნებით. კომპოზიციაში თითოეული დეტალი იყო სიმბოლური, სულიერად ამაღლებული, რაც, უდავოდ, მასწავლებლის, ქალბატონი მავლინა კუტუბიძის უდიდესი დამსახურებაა.

იმ დღეს ქარიანი, ცივი დღე იყო თბილისში, თუმცა საკმაოდ თბილოდა ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტში, სადაც ცოცხლად შესრულებული საგალობლებით და სტუმრებთან ერთად დანთებული სანთლების ფონზე კიდევ ერთხელ ვირწმუნეთ, რომ ქართველ ერს, რომელსაც მამულზე, ენასა და სარწმუნოებაზე ასე შეყვარებული მომავალი თაობა ეზრდება, წინ უკეთესი მომავალი აქვს.

X^3 კლასის მოსწავლეები

მარინე მამარდაშვილი
მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის 124-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე

მეთოდიკა

ქიმიის პედაგოგთა დასახმარებლად

ლია თევზაძე
ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი

ნარევი
დისპერსიული სისტემა. ნარევის შედგენილობის განსაზღვრა. დაყოფის მეთოდები

დასასრული . დასაწყისი იხ. №4

3.3. რომელი აუცილებელი პირობა უნდა იყოს დაცული გამოხდისას?

ა. წყალი და ორთქლი მაცივარში უნდა მოძრაობდეს საპირისპირო მიმართულებით;
ბ. თერმომეტრის ბოლო უნდა იყოს ვიურცის კოლბის გვერდითი მილის სიმაღლეზე;
გ. კოლბაში გამოსახდელი სითხე უნდა ჩაასხათ 2/3-მდე.
დ. თუ დისტილატი ადვილადაქროლადია, ალონჟე ჰერმეტულად უნდა შეუერთდეს მიმღებს.

3.4. სპირტისა და წყლის ნარევის გამოხდისას შედარებით ნაკლებ აქროლადი წყალი რჩება გამოსახდელ კოლბაში, სპირტი კი – გროვდება მიმღებში; სპირტისა და წყლის დუღილის ტემპერატურები ახლოა ერთმანეთთან, ამიტომ მიმღებში გროვდება სპირტით გამდიდრებული წყალი. გამოხდის რამდენჯერმე გამეორებით მიიღება აზეოტროპიული ნარევი („აზეოტროპი“ – მუდმივმდუღარე). 95% სპირტი + 5% წყალი – ამ ნარევიდან აბსოლუტური სპირტის მისაღებად აზეოტროპს ადუღებენ Mg-თან ერთად და შემდეგ გამოხდიან. რატომ უმატებენ Mg-ს?

აზეოტროპში გადაიდენება ერთად სპირტი და წყალი, ამიტომ მარტივი გამოხდით აბსოლუტური სპირტი ვერ მიიღება. Mg-ის დამატებისას და დუღილისას Mg გაიხსნება წყალში, გარდაიქმნება Mg $(OH)_2$ ნალექში. გამოხდისას სუფთა სპირტი გადაიდენება.

3.5. ნავთობის შემადგენელ ფრაქციებად დასაყოფად გამოიყენება ფრაქციული გამოხდა. ამ შემთხვევაში, მიმღებ კოლბაში მაგრდება სპეციალური ფრაქციული სვეტი. მის თეფშებზე მრავალჯერადი აორთქლება-კონდენსაცია ზრდის ფრაქციებად დაყოფის ეფექტურობას.



რომელია ნავთობის ყველაზე დაბალმდუღარე ფრაქცია და რატომ ვერ ხერხდება ამ ფრაქციის შემადგენელი კომპონენტების განცალკევება?

ყველაზე დაბალმდუღარეა ბენზინის ფრაქცია $C_5 – C_{11}$ ნახშირ წყალბადებით. ამათი დუღილის ტემპერატურები ახლოა ერთმანეთთან და გამოხდით მათი დაშორება შეუძლებელია.

3.6. თუ ნარევი მაღალმდუღარეა და/ან დუღილის ტემპერატურამდე გახურებისას რომელიმე კომპონენტი შეიძლება დაიშალოს, გამოიყენება წყლის ორთქლით გამოხდა.

მოიყვანეთ მაგალითი.

მაგ. ასეთი გამოხდა გამოიყენება ნიტრობენზოლისა და ანილინის ნარევის განსაცალკავებლად. ნიტრობენზოლი წყალში არ იხსნება, მაგრამ აქროლადია და წყლის ორთქლთან ერთად გადაიდენება. ჩვეულებრივ გამოხდისას ნიტრობენზოლი დუღილის ტემპერატურამდე გახურებისას ($t_{დუღ}$=210°C) დაიშლება.

3.7. ყველა ტიპის გამოსახდელი ხელსაწყოს აუცილებელი ნაწილია მაცივარი – გრძელი მინის მილი, რომელშიც მიმღებში ხსნარის გაცხელებისას წარმოქმნილი ცხელი ორთქლი კონდენსირდება. არსებობს ჰაერის, წყლის (ლიბიხის) მაცივარი და უკუმაცივარი. ჰაერის მაცივრის ფართო, გრძელ მინის მილში გავლისას ცხელი ორთქლი თანდათან ცივდება და მიმღებში კონდენსირდება (ზოგჯერ მიმღებს ყინულიან სადგამშიც ათავსებენ). წყლის მაცივარი შედარებით დაბალ მდუღარე სითხეების ნარევის გამოსახდელად გამოიყენება (ტემპერატურათა დიდი სხვაობის გამო შეიძლება მაცივარი გასკდეს). უკუმაცივარი საუკეთესოა სითხეების ხანგრძლივი დუღებისთვის. ამ დროს კონდენსირებული სითხე ისევ მიმღებში ბრუნდება.



რომელი მაცივრის გამოყენებაა მიზანშეწონილი:

ა. პერმანგანატის წყალხსნარიდან წყლის გამოსაყოფად (წყლის)
ბ. ძმარმჟავა მეთილ ეთერის გამოსახდელად (ჰაერის)
გ. სპირტის აზეოტროპული ნარევიდან აბსოლუტური სპირტის მისაღებად (უკუმაცივრის)

3.8. გამოსახდელ კოლბაში, სითხესთან ერთად, ფაიფურის ან გამომწვარი თიხის ნატეხებს, ე.წ. დუღილის ცენტრებს ათავსებენ. რა საჭიროა ისინი?



ჭურჭელში სითხის დუღებისას მას თანდათან შორდება გახსნილი ჰაერი და სითხე იწყებს დუღილს არათანაბრად, დარტყმებით, შხეფებით. დუღილის ცენტრების არსებობისას, მათში მოთავსებული ჰაერი გამოიყოფა თანდათანობით და სითხე დუღს თანაბრად, ამოშხეფების გარეშე.

3.9. გამოსახდელი ნარევის გასახურებლად ლაბორატორიაში გამოიყენება ელექტროქურა ან სპირტქურა.

სპირტქურა გამახურებელი ხელსაწყოა, რომლის რეზერვუარში სპირტია ჩასხმული. ჩვეულებრივ სპირტქურაში სპირტის წვისას 1000°C ტემპერატურა ვითარდება, გაზის ბუნზენის სპირტქურაში კი – 1500°C-მდე.

სურათების მიხედვით მოძებნე, სად დაუშვა შეცდომა მოსწავლემ მუშაობისას.

სურათს მიუწერე უსაფრთხოების წესი ან ნიშანი.



არასწორია — სწორია — არასწორია

სწორია — სწორია — არასწორია

1. სპირტქურა მეორე ანთებული სპირტქურით არ უნდა აანთოთ – შეიძლება სპირტი გადმოიღვაროს და აალდეს.

2. სინჯარა გაცხელებისას განუწყვეტლივ უნდა ამოძრაოთ, რომ არ გასკდეს და სინჯარა ალის ზედა მესამედში უნდა შეიტანოთ, რადგან ეს არის ყველაზე ცხელი ნაწილი ალის კონუსში.

3. სპირტქურაში სპირტი ძაბრის მეშვეობით უნდა ჩაასხათ.

4. სამუშაოს დასრულების შემდეგ სპირტქურას თალფაქი აუცილებლად უნდა დაახუროთ, თორემ სპირტი აქროლდება და სპირტქურაში ცუდად დაიწვება.

4. კრისტალური იოდი ნესტისა და მინარევებისგან რომ გაასუფთაონ, ჯამზე შეურევენ CaO და KJ-ს კარგად აურევენ და გააცხელებენ. ჯამის ზევით მოათავსებენ კონუსურ კოლბას. მის ძირზე და კედლებზე იოდი აქროლდება. გაცივდება და სუფთას შეაგროვებენ. რა ჰქვია გასუფთავების ამ მეთოდს?

ა. კრისტალიზაცია
ბ. კონდენსაცია
გ. სუბლიმაცია

5. იპოვეთ შესაბამისობა ნარევიდან ნივთიერების გამოყოფის მეთოდსა და ნარევში შემავალი ნივთიერებების განმასხვავებელ თვისებას შორის.

1. დისტილაცია	ა. დუღილის ტემპერატურები;
2. გაფილტვრა	ბ. წყალში ხსნადობის უნარი მოცემულ ტემპერატურაზე;
3. კრისტალიზაცია	გ. მოცემულ გამხსნელში სხვადასხვა ტემპერატურაზე განსხვავებული ხსნადობა;
4. ექსტრაქცია	დ. ერთ ან ორ შეურევად გამხსნელში განსხვავებული ხსნადობა;
5. დიალიზი	ე. მემბრანის ფორებში შეღწევის უნარი;
6. სუბლიმაცია	ვ. აქროლების უნარი.

1ა	2ბ	3გ	4დ	5ე	6ბ

6. ქრომატოგრაფია ნივთიერების გასუფთავების თანამედროვე მეთოდია. რომელი ქრომატოგრაფია გამოიყენება?

ა. დაბალმდუღარე, ადვილად აქროლადი სითხეების – მეთანოლისა და აცეტილენის დასაყოფად?

[გაზური ქრომატოგრაფია]

ბ. მელნის კომპონენტებად დასაყოფად?

[ქაღალდის ქრომატოგრაფია]

გ. ქლოროფილის სისუფთავის გამოსაკვლევად?

[მილის (სვეტოვანი) ქრომატოგრაფია]

დ. ქრომატოგრაფიის რომელი სახეა მოცემული სურათზე?

[ქაღალდის]



7. ტექნიკური შაბიამანი გაჭუჭყიანებულია KCl-ითა და წყალში უხსნადი მინარევებით. აღწერეთ ნარევის გასუფთავების რომელ ხერხებს გამოიყენებთ ნარევიდან სუფთა შაბიამნის გამოსაყოფად?

1 — ნარევის გახსნა წყალში და ხსნარის გაცხელება	2 — ცხლად გაფილტვრა
3 — ფილტრატზე $AgNo_3$-ის დამატება AgCl↓	4 — ნარევის გაფილტვრა ბუხნერის ძაბრში
5 — ფილტრატის აორთქლება ნახევრამდე ჯამში	6 — ზენაჯერი ხსნარის დაყოვნება-გაცივება
7 — გამოყოფილი კრისტალების გაფილტვრა	8 — კრისტალების გაშრობა ფილტრის ქაღალდით
9 — თვისებითი რეაქციების ჩატარება	რეაქტივები: $BaCl_2$; KOH გაცხელებისას კედლებზე წყლის წვეთები $BaSO_4$↓; $Cu(OH)_2$↓ დალექვა

UNICEF

„ბავშვები საქართველოში კვლავაც ყველაზე ღარიბები არიან“

საქართველოში წელიწადში 5 წლამდე ასაკის 1000 ბავშვი იღუპება, აქედან 300 – კვების დეფიციტის გამო. არადა, არსებობს დაბალბიუჯეტიანი გადაწყვეტები, რომელსაც შეუძლია შეამციროს ბავშვთა სიკვდილიანობა და გააუმჯობესოს მდგომარეობა – ეს შეფასება გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებს ეყრდნობა.

საქართველოს მთავრობამ და გაეროს ბავშვთა ფონდმა (იუნისეფი), გაეროს ბავშვთა ფონდის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების რეგიონალური დირექტორის, **მარი-პიერ პუარიეს** ოფიციალური ვიზიტისას, ერთობლივი სამოქმედო პროგრამა შეაფასეს.

ქვეყანაში სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ბავშვების მაჩვენებელი, 2011 წლის 25 პროცენტიდან 2013 წელს 27 პროცენტამდე გაიზარდა, რამდენადაც სოციალური დანახარჯები უფრო სხვა ჯგუფებზე იყო მიმართული. ბოლო ორი წლის განმავლობაში ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე შემცირდა, მაგრამ კვლავ აღემატება დანარჩენი მოსახლეობის სიღარიბის დონეს. უთანასწორობის მხრივ, საქართველო მეორე ადგილზეა ევროპაში. ეს ის ძირითადი საკითხებია, რომლებიც მთავრობისა და იუნისეფის მიერ საქართველოში ბავშვთა მდგომარეობის განხილვისას დომინირებდა.

განათლებისა და მეცნიერების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, იუსტიციის, სასჯელაღსრულების და პრობაციის და ფინანსთა მინისტრებმა და სახალხო დამცველმა, შესაბამის სფეროებში, ძირითად გამოწვევებსა და მიღწევებზე ისაუბრეს, განიხილეს რეკომენდაციები და შემდგომი ნაბიჯები.

„მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ქვეყანაში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის უზრუნველყო ჯანმრთელობის უფასო დაზღვევა, გააორმაგა სოციალური შეღავათები. თუმცა, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ბავშვია სოციალურად დაუცველი, ესენია: სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, ძალადობის მსხვერპლი ბავშვები და რთულად მისაწვდომ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში მცხოვრები ბავშვები“ – აღნიშნა მარი-პიერ პუარიემ.

იუნისეფის მონაცემებით, დედათა სიკვდილიანობა ისევ ყველაზე მაღალია რეგიონში, ხოლო ხუთ წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მიხედვით, საქართველო მესამე ადგილზეა ევროპასა და ცენტრალურ აზიაში – სამჯერ აღემატება ევროპის საშუალო მაჩვენებელს. იუნისეფის განმარტებით, მართალია, უკიდურესი სიღარიბე შედარებით შემცირდა, მაგრამ ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი კვლავ აღემატება დანარჩენი მოსახლეობის სიღარიბის დონეს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში სოციალური დახმარების სისტემა საკმარისად არ ითვალისწინებს ბაშვების ინტერესებს – „ეს იმას ნიშნავს, რომ ღარიბი მოსახლეობისკენ მიმართული დახმარება, სხვა ჯგუფებზე იყო გამიზნული და არა ბავშვებზე. იუნისეფი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას (ჩვენ მათთან ერთად ვმუშაობთ), რომ სპეციალური შეღავათები ბავშვებთან დაკავშირებით იყოს შემოღებული, – აცხადებს იუნისეფის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი **მაია ქურციკიძე**.

რაც შეეხება 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის ზრდას, რომელიც საკვების დეფიციტითაა გამოწვეული, ამ მიმართულებით იუნისეფი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან. სამთავრობო პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტი მიკროელემენტების დეფიციტის აღმოფხვრაა. ეს გულისხმობს პურის ფქვილის ფოლიუმის მჟავითა და რკინის მიკროელემენტებით გამდიდრების სავალდებულო წესის შემოღებას საკანონმდებლო დონეზე. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, საერთაშორისო გამოცდილებით, ეს ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ჩარევაა.

საქართველოში, სიღარიბის გარდა, სერიოზული პრობლემაა განათლებასთან დაკავშირებით – 15 წლის ბავშვთა ორ მესამედს არ აქვს კითხვის, მათემატიკის და საბუნებისმეტყველო საგნების სათანადო ცოდნა და უნარი, რაც ყველაზე უარესი შედეგია ევროპაში. ეს მაჩვენებელი დაახლოებით სამჯერ მეტია, ვიდრე საშუალოდ ევროპაში. ბავშვთა ნახევარს, ღარიბთა 70 პროცენტს, არ მიუწვდება ხელი სკოლამდელ განათლებაზე, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვების სკოლისათვის მზაობისა და აკადემიური მოსწრების დონეზე. ამის მიზეზად განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** არასწორ სკოლამდელ განათლებასა და ამ მიმართულებით არგადადგმულ ნაბიჯებს ასახელებს: *„ყურადღება უნდა მიექცეს სკოლებში განალების ხარისხის ამაღლებას. ეს არის ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილი, რომლის რევიზია ახლა მიმდინარეობს“.*

საქართველოში რვა წლის წინ დაწყებული ბავშვზე ზრუნვის რეფორმის შედეგად, ყველა ბავშვისათვის ოჯახური გარემოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ხელშესახები პროგრამებია, თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები არიან ძირითადად ის ბავშვები, რომლებიც ჯერ კიდევ რჩებიან სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებებში. საქართველოს მოსახლეობის 40 პროცენტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სტიგმატიზაციას ახდენს.

იუნისეფის ანგარიშის მიხედვით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მდგომარეობაც. განახევრდა ბავშვების რაოდენობა ციხეებში. მიუხედავად ამისა, მართლმსაჯულების სისტემასთან შეხების მქონე ბავშვებს მაინც არ აქვთ სათანადო მოპყრობა და მომსახურება. იუნისეფის დახმარებით, პენიტენციალურ სისტემაში მოხვედრილი ყველა ბავშვისთვის ინდივიდუალურად იგეგმება სასჯელი. მათთვის სკოლის შენობა აშენდა და პირველად განცალკევდა სასწავლო კორპუსი საცხოვრებლისაგან. ამ ნაბიჯებს გაეროს ბავშვთა ფონდის რეგიონულმა დირექტორმა მაღალი შეფასება მისცა: *„მინისტრებმა ნათლად წარმოაჩინეს მზადყოფნა, მიჰყვნენ რეკომენდაციებს, რათა შემცირდეს დედათა სიკვდილიანობა, გაუმჯობესდეს მართლმსაჯულების სისტემა, რომლის დროსაც მაქსიმალურად იქნება გათვალსიწინებული ბავშვების ინტერესები, ნებისმიერ ეტაპზე, კანონთან შეხებისას.“*

კონკრეტული რეკომენდაციები, თუ როგორ გადაიჭრას არსებული პრობლემები, უკვე შესულია ადამიანის უფლებათა ეროვნულ გეგმაში. გაეროს ბავშვთა ფონდი მზადაა, უახლოესი თვეების განმავლობაში, დაეხმაროს საქართველოს მთავრობას ბავშვებისათვის მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარებაში.

„ჩვენ ასევე მოველით, რომ საქართველომ უფრო თამამი ქმედებები განახორციელოს შემდეგი მიმართულებებით: ფულადი შეღავათები ყველა ბავშვისათვის, მათ გარდა, ვისაც ეს არ სჭირდება; მიკრონუტრიენტული დანამატები ყველა ბავშვისათვის, 6-დან 24 თვემდე; მთავრობასა და არასამთავრობო სექტორს შორის ბავშვზე ზრუნვის სფეროში არსებული თანამშრომლობის კარგი მოდელის გათვალისწინება სხვა სფეროებისათვის, აივ/შიდსის ჩათვლით; მჭიდრო სამინისტროთაშორისი კოორდინაცია ბავშვთა დაცვისა და ბავშვთა უფლებების მონიტორინგის საქმეში,“ – აღნიშნა მარი-პიერ პუარიემ.

მაშინ, როცა ქვეყანა, შემოსავლების უთანასწორობის მიხედვით, ევროპაში მეორე ადგილს იკავებს, უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი მოსახლეობის 4 პროცენტს აწევს, ხოლო ბაშვების – 6-ს; 5 წლამდე ბაშვების გარდაცვალების ერთ-ერთი მიზეზი საკვების დეფიციტია და იუნისეფი აცხადებს, რომ საქართველოში ბავშვები კვლავ ყველაზე ღარიბები არიან – ბუნებრივია, მთავრობა სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. ამ შეხვედრის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის პრიორიტეტად ბავშვები დაასახელა. პარლამენტის თავმჯდომარემ, **დავით უსუფაშვილმა** და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებში გაეროს ბავშვთა ფონდის რეგიონულმა დირექტორმა, მარი-პიერ პუარიემ, ერთობლივ პრესკონფერენციაზე, ბავშვის უფლებათა დაცვის წელი ოფიციალურად გამოაცხადეს.

ეს ინიციატივა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა გასულ წელს წამოაყენა და დეკემბერში პარლამენტმა სამოქმედო გეგმაც დაამტკიცა. აღნიშნული ინიციატივის მიზანია კონკრეტული კანონების შემუშავება და პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენა, რათა ბავშვთა უფლებები სრულად იყოს გათვალისწინებული, დაცული და განხორციელებული.

ინიციატივის ფარგლებში, წლის განმავლობაში, მიიღება კანონები და ჩატარდება ღონისძიებები, როგორიცაა: საკომიტეტო მოსმენები და საჯარო განხილვები მნიშვნელოვან საკითხებზე, სამოქალაქო საზოგადოების, სამეცნიერო წრეების, ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობით.

ასევე დაიგეგმა ისეთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივების მიღება, როგორიცაა: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი; ფიზიკური დასჯის აკრძალვა და საკანონმდებლო ცვლილებები ძალადობისაგან ბავშვების დაცვის მიზნით; სკოლამდელი განათლების კანონი; ცვლილებები კანონში ფქვილის მიკროელემენტებით გამდიდრების შესახებ; შესწორებები კანონში სოციალური დახმარების შესახებ და შეტყობინებების პროცედურის შესახებ ბავშვთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიკაცია.

„ვულოცავ საქართველოს პარლამენტს, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს, ამ მნიშვნელოვან მოვლენას. ჩვენ გავაგრძელებთ პარტნიორობას პარლამენტთან, რათა ბავშვებისათვის რეალური ცვლილებები განხორციელდეს – აღნიშნა მარი-პიერ პუარიემ – *პარლამენტის როლი უაღრესად დიდია ბავშვის უფლებათა დაცვის საკითხში. აუცილებელია ახალი კანონების შემუშავება და მიღება, მაგრამ ასევე გადამწყვეტია მონიტორინგი, რომ კანონები განხორციელდეს და ბავშვებისათვის სასიკეთო შედეგები მოიტანოს.“*

2014 წელი ბავშვთა წელია! – მთავრობის ამ განცხადებას, იმედია, სერიოზული ქმედითი შედეგები მოჰყვება.

ლალი ჯელაძე

ინფორმაცია

სკოლას გმირის სახელი მიენიჭა

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა მთელ საქართველოს უდიდესი ტკივილი და მწუხარება დაუტოვა. სამშობლოსთვის თავდადებულ გმირთა პლეადას ახალი სახელები შეემატა. ერთიანი საქართველოსთვის ბრძოლამ არაერთი ვაჟკაცის სიცოცხლე შეინირა.

2008 წლის 13 სექტემბერი, დღის 14 საათი და 30 წუთი, განმუხურიოტობაიას საზღვარზე არსებულ 213-ე ბლოკსაგუშაგოზე სიჩუმეა. აქ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, აფხაზი ბოევიკების ნასროლი ტყვიით, დაიღუპა სალხინოელი ახალგაზრდა, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული – **ბესიკ ხულორდავა**. მაშინ ის 29 წლის იყო.

ბესიკ ხულორდავა დაიბადა 1978 წლის 29 დეკემბერს, მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოში. 1996 წელს დაამთავრა სალხინოს საშუალო სკოლის სრული კურსი და ჩაირიცხა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 2001 წელს დაამთავრა. იმავე წლის 23 ივლისს გაწვეულ იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურში, რომელიც პირნათლად მოიხადა. საპატრულო პოლიციის სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ, 2005 წელს, დაინიშნა მარტვილის რაიონული პოლიციის სამმართველოს დიდი ჭყონის ქვეგანყოფილების ინსპექტორ-გამომძიებლად. იყო პოლიციის ლეიტენანტი. მტრის ტყვიამ მას განმუხურ-ოტობაიას საზღვარზე უწია.

ბესიკი ჩვენი სკოლის სანიმუშო მოსწავლე ყოფილა. გამორჩეული მოსწავლე, გამორჩეული სტუდენტი, სამშობლოსათვის თავდადებაშიც გამორჩეული გახდა. მეგობრები მას ახასიათებენ, როგორც სანიმუშო პოლიციელს, ღირსეულ მოქალაქეს, რომელიც მტკიცედ იცავდა თემიდას მახვილს. იყო სათნო, გულისხმიერი, თავმდაბალი, მოკრძალებული. ყველგან სიყვარულს იმსახურებდა. უყვარდა ოჯახს, მასწავლებლებს, სოფელს.

5 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქვეყანას დააკლდა ბესიკ ხულორდავა, მაგრამ „არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია, მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია!“

დიდი ილიას ეს უკვდავი სიტყვები ზუსტად გადმოსცემს ბესიკის მიერ განვლილ გზას, რომელიც მარადიულ სიცოცხლეს შეუერთდა. საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი საყრდენი იყო და არის ქრისტიანული რწმენა. ბესიკი ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო. ეს რწმენა უქმნიდა მას მყარ საფუძველს, დამდგარიყო იქ, სადაც საჭირო იყო მისი გული. მისი მოძღვარი – **მამა სერაფიმე (დანელია)** ამაყობდა მისი გმირული სიკვდილით.

სალხინოს სკოლის პედაგოგიური კოლექტივის თხოვნა დააკმაყოფილა საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ – 10 ოქტომბრის ბრძანებულებით, სკოლას ბესიკ ხულორდავას სახელი მიენიჭა. სახალხო ზეიმიც ამიტომ გაიმართა სოფელ სალხინოში. მეზობელი სკოლების მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, საზოგადოების წარმომადგენლები, ბესიკ ხულორდავას მეგობრები, ნათესავები სკოლის ეზოში შეიკრიბნენ. როგორც სალხინოს მკვიდრმა **გოგილო ბასილაიამ** ბრძანა – ეს იყო სევდანარევი ზეიმი, ბესიკის სახელის უკვდავსაყოფად.

საქართველოს ჰიმნის შესრულების შემდეგ, სალხინოს საჯარო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ნუნუ სილაგავამ** გმირის დედას სკოლის აბრაზე ფარდის ჩამოხსნა სთხოვა. სიმბოლური იყო, რომ ბესიკის დედის – **მთვარისა ქვარცხავასთან** ერთად იყო ბესიკის ძმისშვილი – პოლიციის ფორმაში გამოწყობილი 2 წლის **ბექა ხულორდავა**.

მეცხრე კლასის მოსწავლე **გიორგი ბასილაიამ** წაიკითხა პედაგოგ **ნონა ცაავას** ლექსი „მიწა ქართული“, ხოლო შოთა ნიშნიანიძის ლექსი „თეთრი გედი“ – **თათია სხულუხიამ.** სტუმრებს სიტყვით მიმართა სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ნუნუ სილაგავამ; მეათე კლასის მოსწავლეებმა: **თათია** და **სალომე წულაიებმა, ლუკა ჯამბურიამ, რიტა ყუფუნიამ.** ბესიკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს – **თორნიკე ბასილაიამ, ცოტნე ცაავამ**. ბესიკის ბავშვობა მოიგონა მისი მერხის მეგობარმა – **ნუკრი გეგელიამ**. მეტად თბილი მოგონებით გამოვიდა ბესიკის მეგობარი **ვლადიმერ ნადარაია**, რომელიც, **რამაზ სხულუხიასა** და **სპარტაკ ძიძიგურთან** ერთად, მისი დაღუპვის თვითმხილველია.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, ქალბატონმა **პაშა გულორდავამ** გმირის დედას მიულოცა ეს დღე. მადლობა გადაუხადა სკოლას და უსურვა, რომ სასახელოდ ატაროს კოლექტივმა გმირის სახელი.

ბესიკ ხულორდავას დედამ – ქალბატონმა მთვარისამ მოიგონა ბესიკის ბავშვობის წლები და მადლობა გადაუხადა სკოლას, სტუმრებს.

მადლიერმა საქართველომ დააფასა ბესიკ ხულორდავას თავგანწირვა – სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოვდა. სალხინოელებმაც სათანადო პატივი მიაგეს მის ხსოვნას – ქუჩას, სადაც ცხოვრობდა, ბესიკ ხულორდავას სახელი ეწოდა.

ბოლოს ლიტერატურული კომპოზიცია წარმოადგინეს **ვანო ბასილაიამ, გრიგოლ ცაავამ, ვახო წულაიამ**, ხოლო საბრძოლო მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიცია „საქართველოსთვის, ბიჭებო სწორდით!“ – მოსწავლეთა ჯგუფმა (ქორეოგრაფი – **მადონა თოდუა**).

სკოლას და ბესიკის მშობლებს ეს დღე მიულოცა თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მეთოდისტმა **ლამარა გუგუნავამ**: *„პატივი და დიდება გმირის ხსოვნას. ღმერთმა ცოცხალი გმირები გიმრავლოთ!“*

სულიკო ბასილაია
პედაგოგი

პროფესიული კოლეჯის „სპექტრი“ წარმომადგენლები უცხოურ გამოცდილებას იზიარებენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, პროფესიული კოლეჯის „სპექტრი“, თურქეთის ქ. სტამბულის ენერგო ტექნიკის სასწავლო ცენტრის UGETAM-ის საქართველოს წარმომადგენლობისა და კომპანია „აზია ენერჯის“ წყლისა და გაზის სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ორგანიზებით, 18 მარტიდან 21 მარტის ჩათვლით, სასერტიფიკაციო-სატრენინგო კურსები ტარდება პოლიეთილენის მაგისტრალური მილსადენების მშენებლობის, პირა-პირა და ელექტრო შედუღების მეთოდიკის მიმართულებით.

ტრენინგს მოწვეული უცხოელი ექსპერტები უძღვებიან და მასში დარგის ქართველი სპეციალისტები, კოლეჯ „სპექტრის“ პედაგოგები და სტუდენტები მონაწილეობენ. სწავლება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მაგალითების განხილვით მიმდინარეობს.

ტრენინგის მსვლელობისას ხორციელდება პირდაპირი ჩართვა იტალიიდან, ქალაქ მილანიდან, სადაც ინფრასტრუქტურის მიმართულებით *MCE გლობალური კომფორტული ტექნოლოგიების* გამოფენა მიმდინარეობს. ჩართვისას, უცხოური პარტნიორი კომპანიები ქართველ მონაწილეებს უახლეს ტექნოლოგიებს აცნობენ.

სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, მონაწილეებს ევროპის ქვეყნებში და მსოფლიოს წამყვანი სასერტიფიკაციო ცენტრების მიერ აღიარებული საერთაშორისო დონის სერტიფიკატი, 400-ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერი და ID ბარათი გადაეცემათ.

დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების საკოორდინაციო საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა

საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ფინანსური ხელშეკრულების საფუძველზე, ამოქმედდა პროგრამა „დასაქმება და პროფესიული განათლება“. აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში, „დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭო“ ჩამოყალიბდა, რომელმაც პირველი სხდომა გამართა.

საკოორდინაციო საბჭოს მიზანია „დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების“ პროგრამის განხორციელების მონიტორინგი და კოორდინაცია. საბჭოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი** ხელმძღვანელობს, საბჭოს წევრები არიან: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, „პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს“, სოციალური მომსახურების სააგენტოს, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის (EU Delegation to Georgia), საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის, საქართველოს ბიზნესასოციაციის, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი პირები.

სხდომის მიზანი იყო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების საბჭოს წევრებისათვის გაცნობა, განხილვა და სამომავლო სამუშაოების დაგეგმვა.

იურისტის კონსულტაცია

სამუშაო საათების მიხედვით რამდენი ტიპის სამუშაო დატვირთვა არსებობს მასწავლებლისათვის?

– სამუშაო საათების მიხედვით არსებობს 3 ტიპის სამუშაო დატვირთვა:

– *ნაწილობრივი დატვირთვა* – გულისხმობს 36-ზე ნაკლებსაათიან სამუშაო კვირას, რომლის შემადგენლობაშიც შედის 18-ზე ნაკლები საგაკვეთილო საათი კვირაში;

– *სრული დატვირთვა* – გულისხმობს 36-საათიან სამუშაო კვირას, რომლის შემადგენლობაშიც შედის 18 საგაკვეთილო საათი კვირაში;

– *სრულზე მეტი დატვირთვა* – გულისხმობს 40-საათიან სამუშაო კვირას, რომლის შემადგენლობაშიც შედის 19 ან მეტი საგაკვეთილო საათი კვირაში.

პედაგოგისთვის, სრულზე მეტი დატვირთვის შემთხვევაში, არსებობს რაიმე დანამატი?

– დიახ, არსებობს, სრულზე მეტი დატვირთვისათვის, კვირაში 19-დან 25 საგაკვეთილო საათის ჩათვლით, მასწავლებელს სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე ეძლევა დანამატი ყოველ დამატებით საგაკვეთილო საათზე, კვირაში 5 ლარის ოდენობით.

მოეთხოვება თუ არა პედაგოგს დილიდან საღამომდე სკოლაში ყოფნა?

– პედაგოგი არ არის ვალდებული დილიდან საღამომდე იმყოფებოდეს სკოლაში. მისთვის თანამდებობრივი სარგოს მიცემა სამუშაო საათების მიხედვით არ ნიშნავს, რომ საგაკვეთილო საათების, სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებისა და მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისათვის საჭირო დროის გარდა აუცილებლად უნდა იმყოფებოდეს სკოლაში. მასწავლებელს უფლება აქვს, მისი სამუშაოს ნაწილი, რომელიც არ მოითხოვს სკოლაში ყოფნას, შეასრულოს სკოლის გარეთ. ამასთან დაკავშირებით არსებობს ერთი შეზღუდვა, როდესაც სკოლის დირექციას მიაჩნია, რომ მასწავლებელი ვერ აღწევს სასურველ შედეგებს სწავლებისას, უფლებამოსილია მასწავლებელს მოსთხოვოს, კვირეული სამუშაო საათობრივი დატვირთვის შესაბამისად, სკოლაში მუშაობა სწავლების შედეგების გაუმჯობესებამდე.

მასწავლებლების გარდა, სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს, აქვთ თუ არა უფლება ჰქონდეთ საგაკვეთილო საათები?

– სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებული პირების (გარდა მასწავლებლებისა) და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურეების სამუშაო დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 10 საგაკვეთილო საათს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დაიშვას გამონაკლისი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით.

ნატა ჩანადირი
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

ინფორმაცია

ზოგადი განათლების პროექტის ფარგლებში პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველო“ სამ პროექტს ახორციელებს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიმართულებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ზოგადი განათლების პროექტის ფარგლებში, პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

პროექტს „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ მიერ, საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე შერჩეული, კერძო საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია GOPA ახორციელებს. GOPA-ს წარმომადგენლებმა დღეს, საკონსულტაციო ჯგუფის წევრებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებს უკვე განეული სამუშაოები და დაგეგმილი აქტივობები გააცნეს.

GOPA საქართველოში ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭირო აქტივობებს ატარებს, ახორციელებს სისტემის ანალიზს, რის საფუძველზეც, შეიქმნება მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო შეფასების სისტემა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, GOPA საჭიროებებს გამოავლენს და პოლიტიკის განსაზღვრაში დახმარებას გაუწევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მის შესაბამის სააგენტოებს.

„ზოგადი განათელების ხარისხის გაუმჯობესების პროექტის“ პრეზენტაცია 2014 წლის 17 თებერვალს შედგა და საზოგადოების, დაინტერესებული მხარეების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, საერთაშორისო, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს სრული ინფორმაცია მიეწოდა პროექტის თაობაზე.

სამუშაო შეხვედრა USAID-ის წარმომადგენლებთან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური** ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის მიზანი იყო USAID-ის მიერ დაგეგმილი ახალი პროგრამის „სამოქალაქო ინიციატივა“ შეფასების სისტემის გაცნობა სამინისტროსთვის.

შეხვედრაზე წარმოდგენილი სისტემის მიხედვით, მომავალში აღნიშნული პროგრამა და ზოგადად საქართველოს სკოლებში სამოქალაქო განათლების კუთხით არსებული მდგომარეობა შეფასდება. შეხვედრის მსვლელობისას საუბარი ასევე შეეხო ახალი პროგრამის ფარგლებში, USAID-ის მოსალოდნელ თანამშრომლობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

შეხვედრაში USAID-ის მხრიდან მონაწილეობას იღებდნენ: USAID საქართველოს დემოკრატიისა და მმართველობის ოფისის დირექტორი **დანიელა რიფი**, USAID საქართველოს დემოკრატიისა და მმართველობის ოფისის დირექტორის მოადგილე **დევიდ სტოუნჰილი**, USAID-ის ვაშინგტონის ოფისის დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და მმართველობის ცენტრის შეფასების სპეციალისტი **აარონ აბარნო**, USAID საქართველოს სამოქალაქო განათლებისა და ეროვნულ უმცირესობათა პროგრამების მენეჯერი **ნინო ბუაჩიძე**.

სპორტი

ახალგაზრდებში ლიდერები არ იცვლებიან

18 მარტს, ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში, დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, სადაც უფროსთა გვერდით ახალგაზრდებმაც იასპარეზეს, მათი უმეტესობა კი ჯერ ისევ სასკოლო ასაკის სპორტსმენია.

ახალგაზრდებში სენსაციები არ მომხდარა – ისევ ძველმა ლიდერებმა გაიმარჯვეს, ოღონდ ეგაა, ახლახან დასრულებულ ევროპის ჩემპიონატთან შედარებით, შედეგები ცოტათი გააუარესეს. სავარაუდოდ, მათ პიკი მოსკოვში, ევროპის პირველობაზე გადაიარეს. თან ჯერ ძალზე ახალგაზრდები არიან და დატვირთვის, გადაფრენ-გადმოფრენების შემდეგ, სავარაუდოდ, ფიზიკურადაც ვერ გაუძლეს. გოგონებში კვლავ 14 წლის ქუთაისელმა **ლიზი კილაძემ** გაიმარჯვა, ვაჟებში –16 წლის **ცოტნე მაჭავარიანმა**.

კილაძემ ამჯერად 374 ქულა დააგროვა, მოსკოვში კი თვით ოლიმპიურ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ **ნინო სალუქვაძეს** გაუსწრო მთელი ოთხი ქულით და 381 ჰქონდა – მართლაც დიდოსტატური შედეგია. სალუქვაძის შვილმა – ცოტნე მაჭავარიანმა ამჯერად 567 ქულა დააგროვა, მოსკოვში კი პირად რეკორდს უწია – 571-ს. გოგონებში **მარიამ ღვინიაშვილმა** ვერცხლის მედალი მოიპოვა 365 ქულით, ბრინჯაო – **ქეთი შედანიამ** (ორივე – სალუქვაძის ტირი) 361-ით. ვაჟებში მეორე **ივანე ჭანკოტაძე** იყო 559-ით (სალუქვაძის ტირი). ამდენივე ქულა დააგროვა სკა-ს წევრმა **ვლადიმერ მაიოროვმა**, მაგრამ ბოლო სერიაში ნაჩვენები უკეთესი შედეგით ვერცხლი ჭანკოტაძეს ერგო.

ახალი ტურნირი პატარებისთვის

ამ უქმეებზე „მართვეს“ დარბაზმა პირველად უმასპინძლა ჯუმბერ დავლიანიძის ხსოვნის ტურნირს თავისუფალ ჭიდაობაში. ჯუმბერ დავლიანიძე იმ იშვიათთა შორის იყო საქართველოდან, ვისაც ექსტრა კლასის მსაჯის წოდება ჰქონდა, რაც უმაღლესი რანგია ამ სფეროში. ამასთან, იგი იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საკავშირო ნაკრების წევრი და მსოფლიო უნივერსიადის მრავალგზის გამარჯვებული, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. მისი სახელობის მემორიალის ჩატარება, იდეის დონეზე, ყოველთვის არსებობდა, მაგრამ, მიზეზთა გამო, აქამდე ვერ მოხერხდა, ახლა კი ყინული დაიძრა და სურვილიც რეალობად იქცა. თან თბილისის ჭიდაობის ფედერაციასთან წინასწარ შეთანხმებასაც მიაღწიეს, რომ ეს შეჯიბრება ყოველწლიურად გაიმართოს და ტრადიციული გახდეს.

ტურნირი 1999-2002 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის (მთავარი მსაჯი – **გია კოტიშაძე**) ჩატარდა და მასში 336 მოზარდი მონაწილეობდა. შთამბეჭდავი იყო მონაწილე გუნდების გეოგრაფიაც –ყვარელი, რუსთავი, გორი, ხაშური, ხონი, ხარაგაული, ჭიათურა, თერჯოლა, ონი, ამბროლაური, ჩოხატაური, ლანჩხუთი, ბოლნისი, კაზრეთი, საგარეჯო, ადიგენი, ახმეტა, ყაზბეგი... თბილისიდან რამდენიმე კლუბი გამოდიოდა – ოლიმპიური მზადების ცენტრი, ლერი ხაბელოვის კლუბი, ფალავანთა კლუბი, „მართვე“, ვარკეთილისა და ავლაბრის გუნდები, წყნეთიდან „აფხაზეთი“ და სხვ. მოზარდებისთვის ეს შეჯიბრება კარგი გაკვეთილი გამოდგა და მათაც თავი არ დაუზოგავთ. იმედია, მომავალშიც ისახელებენ თავს და ბევრ მათგანს დიდ არენაზეც ვიხილავთ. ტურნირზე დაწესებული იყო ჯუმბერ დავლიანიძის სახელობის თასი, რომელიც 75 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამარჯვებულ ხაშურელ **ცოტნე მიქელაძეს** გადაეცა.

წონითი კატეგორიების მიხედვით, ჩემპიონები გახდნენ: 23კგ **– ნიკა სანთელაძე**, 26კგ **– ბეჟან ბარსონიძე** (ორივე – ამბროლაური), 29კგ **– გიორგი გიორგაძე** (საჩხერე), 32კგ – **დიმიტრი აფხაზავა**, 35კგ – **გიორგი კვირკველია** (ორივე – ლანჩხუთი), 38კგ – **გია უღრელიძე** (სამტრედია), 42კგ – **ოთარ ბაგაური** (საჩხერე), 47კგ – **გიორგი ელბაქიძე** (ამბროლაური), 53 – **ნიკა ბერუაშვილი** (გორი), 59კგ – **გოგა მამიაური** (თბილისი), 66კგ – **ნოდარ ბიწაძე** (რუსთავი), 75კგ – **ცოტნე მიქელაძე** (ხაშური), 85კგ – **ზაალ ფსუტური** (თბილისი), 100 – **ელგუჯა ბალანჩივაძე** (სამტრედია).

გოგონების პროგრესი ანტალიაში

15-16 მარტს ანტალიამ ევროპის თასს უმასპინძლა ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის, რომელშიც საქართველოდან ვაჟების ნაკრებიც გამოდიოდა და გოგონებისაც. ვაჟების მთავარმა მწვრთნელმა **მინდია ბოდაველმა** თურქეთში სრულად დაკომპლექტებული გუნდით იასპარეზა – საქართველოს ჩემპიონატის ყველა მედალოსანი წაიყვანა, ანუ რვავე წონაში 4-4 მონაწილე გვყავდა, გოგონები 9 სპორტსმენით გამოვიდნენ. ქართულმა დელეგაციამ ანტალიაში 7 მედალი მოიპოვა – თითო ოქრო-ვერცხლი და 5 ბრინჯაო. აქედან ერთი ბრინჯაო გოგონების მონაგარია, დანარჩენი მედლები კი ვაჟებმა დაისაკუთრეს. საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველო მე-5 ადგილზეა, ვაჟების ნაკრები კი მე-3-ზე გავიდა. ჩემპიონი **ივანე ხუბაშვილი** (50) გახდა, ვერცხლი **თემურ ნოზაძემ** (50) მოიპოვა, ბრინჯაოს მედლებით კი სამშობლოში ჯამბულ **ქურდიანი** (60), **ბექა უდესიანი** (66), **სიმონ მამარდაშვილი** (73), **ავთანდილ ტაბატაძე** (90) და **სალომე მჭედლიშვილი** (70) დაბრუნდნენ. ბრინჯაოს მედლისთვის იჭიდავეს: ვაჟებიდან – **დავით გეჯაძემ** (55), **დავით კოპაძემ** (66), **დავით იმერლიშვილმა** (81), **გიორგი გველესიანმა** (90) და **დავით რაზმაძემ** (+90), გოგონებიდან – **ტატა ყიფშიძემ** (44), **ეთერ ლიპარტელიანმა** (57) და **ხატია ჯანაშვილმა** (63), მაგრამ დამარცხდნენ და მეხუთეზე დარჩნენ. აღსანიშნავია, რომ კოპაძემ დამამშვიდებლის ფინალში უდესიანთან წააგო. მეშვიდე ადგილზე გავიდნენ და გუნდს ჩასათვლელი ქულები მისცეს: **ნიკო ჭიკაიძემ** (55), **ალექსი ქიტიაშვილმა** (73), **კონსტანტინე ხაბეიშვილმა** და **თედო წოწინაშვილმა** (ორივე – +100), **სალომე მარგიანმა**, **ნინო მგელაძემ** (ორივე – 48) და **მზია ბებოშვილმა** (52).

როგორც ვხედავთ, უმჩატეს წონაში – 50 კილოგრამში ჩვენთვის ფრიად სასიამოვნო ფაქტი მოხდა, ქართული ფინალი გაიმართა. ქართველთა გზები მძიმე წონაშიც ბევრჯერ გადაიკვეთა, სადაც თანაგუნდელები დავით რაზმაძემ დაიფრინა – სანუგეშოში **გურამ ქოსმენაშვილსა** და ზემოხსენებულ წოწინაშვილს მოუგო. სამწუხაროდ, ამით ვერაფერში იხეირა, რადგან ბრინჯაოსთვის შეხვედრა წააგო...

ჩვენები ანტალიურ ტურნირში ლამის ყოველწლიურად გამოდიან და ამაზე ბევრად უკეთაც უჭიდავიათ, განსაკუთრებით – ვაჟებს, თუმცა გოგონებიდან ამჯერად გაცილებით მეტი მივიდა მედალთან ახლოს. ეს ამ გუნდის სტაბილურობაზე მიუთითებს. ერთი ეგაა, რომ ამჯერად უმედლოდ დარჩა მათი ლიდერი, ევროპის მესამე პრიზიორი **მზია ბებოშვილი**. ის პირველად ჭიდაობდა ახალ წონაში და ორი შეხვედრა მოიგო.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საძანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი – 6.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. ძველი რომი
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. რეპტილიები და დინოზავრები
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ძიმური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი – 3 ლარი

ქართველი მწერლები

❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული)
I–V ტომი, – 11 ლარი

❖ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული)
I–VII ტომი – 11 ლარი

❖ ლევან გოთუა (7-ტომეული)
I–II ტომი – 16 ლარი

❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული)
I–II ტომი – 15 ლარი

❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული),
I, II, III, VI, VII, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი,
IV–V ტომი –18 ლარი

❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული)
I, II, IV, V, VI ტომი – 12 ლარი

❖ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული)
I–VII ტომი –12 ლარი

❖ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული),
I–V ტომი – 12 ლარი

❖ ოტია იოსელიანი (10-ტომეული)
I–X ტომი – 12 ლარი

❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული)
I–VI ტომი – 10 ლარი

❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული)
I, III, IV, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. გურამ ასათიანი
6. აკაკი წერეთელი
7. კონსტანტინე გამსახურდია
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. პოლიკარპე კაკაბაძე
11. გურამ რჩეულიშვილი
12. იაკობ ხუცესი
13. იოანე საბანისძე
14. დავით გურამიშვილი
15. ბესიკი
16. რევაზ ინანიშვილი
17. ალექსანდრე ჭავჭავაძე
18. რუსთაველი
19. თეიმურაზ I
20. ვახტანგ VI
21. გიორგი მერჩულე
22. გრიგოლ ორბელიანი
23. დავით ალმაშენებელი

ერთი ცალის ფასი – 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

მიმდინარეობს ხელმოწერა

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- ჯონ გრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**

რა არის რა

ფასი – 9 ლარი

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ დიდი აღმოჩენები
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაძირული ქალაქები
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ202058735, ა/ აGE93LB0113314052305000,
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია სერიიდან ინტელექტი სკოლას

ფასი – 15 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
ფასი – 10 ლარი

„გაბმული“ დიალოგი

ქიმია
საატესტატო-საგამოცდო საკითხები და ტესტები
ლ. თევზაძე
ფასი – 3 ლარი

ქიმია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 6 ლარი

ქიმია
დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის
ჟ. პეტრიაშვილი,
ნ. მაისურაძე
ფასი – 4 ლარი

ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე,
დ. ბარამიძე,
ქ. მაღრაძე,
ნ. სიხარულიძე,
მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

გეოგრაფია
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >